ბრძოლის ხმა

1931 წ. თებერვალი
პარიზი

№ 12

1931 — JANVIER
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი ⁝⁝ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ ერს

საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარემ მიმართა ქართველ ერს შემდეგი მოწოდებით:

სრულდება ათი წელი ქართველი ერის ტყვეობის, საქართველოს დაპყრობის და დამონების; წელნი მეტათ მწარე, მეტათ სისხლიანი, ტანჯვით და ცრემლით სავსენი.

ქართველ ერს უნახავს უცხო ურდოთა შემოსევა, განუცდია უცხო ძალთა რბევა და ძალმომრეობა.

მაგრამ მას არასოდეს არ უნახავს, არასოდეს არ განუცდია ის ტანჯვა-ვაება, ის სასტიკი უბედობა, რაიცა მას თავს დაატყდა ამ უკანასკნელ ათ წელიწადს.

წინეთ დამპყრობელთა ნიაღვარი გადაივლიდა, ქვეყანა ისევ გამოილვიძებდა, მისი მზე ამოანათებდა და თავისუფლების ყვავილები გაიშლებოდა.

დღეს დამპყრობელთა ნიაღვარი მუდმივათ დაგუბდა ჩვენს ქვეყანაში, ის ყოველ ცისმარა დღეს ანადგურებს ერის სიმდიდრეს, მის ნივთიერ და სულიერ საუნჯეს; ის ყოველ დღე, ყოველ საათში ცელავს საუკეთესო შვილებს, ერს კვეთს საუკეთესო თავებს, აძევებს სამშობლოდან ხალხის მესვეურებს.

მტერი დაბანაკდა ჩვენს საკუთარ მიწა-წყალზე და შეიარაღებული ეწევა მუდმივ. შეუჩერებელ ომს უიარაღო მცხოვრებთა წინააღმდეგ.

ათი წელია სწარმოებს ეს ბრძოლა საქართველოს მოსასპობათ, ქართველობის დასამორჩილებლათ, ქართველი ერის მუხლზე დაცემულ საწყალთა ბრბოთ გადასაქცევათ.

მოსკოვის ტირანები ათი წელია ძღებიან ქართველი ერის სისხლით და ვერ გაძღენ, იტაცებენ მის სარჩო-საბადებელს და ვერ გაათავეს, ავსებენ თავდადებულ მოღვაწეებით ციხეებს, სარდაფებს, ბნელ საკანებს, შორეულ «გადაკარგულ კუთხეებს და ვერ გაავსეს.

დიდია ქართველი ხალხის ეს მძიმე ტანჯვა, განუზომელია ეს ამოდენა მისი წვალება, მწარეა ეს ხანგრძლივი მისი დევნა.

მაგრამ დიდი აღმოჩნდა ქართველი ერის გამძლეობა, არ შეირყა მისი სულიერი სიმტკიცე და რაინდული მხნეობა. მას მოსტაცეს თავისუფლება, მაგრამ ვერ დაიმორჩილეს. მას წაართვეს თავისთავის ბატონობა, მაგრამ ვერ დაიმონეს.

ქართველი ერი ამ მეათე წელსაც ისე მაგრათ დგას თავის უფლების, თავის სამშობლოს სადარაჯოზე, როგორათაც ის იდგა თავიდანვე, შემოსევის პირველ წელიწადს. დროთა ბრუნვამ ის ვერ მოსტეხა, გზა-კვალი ვერ აუბნია, მტერი მოყვარეთ და მოყვარე მტერათ ვერ მოაჩვენა. ის დგას თვალახილული, გონება ნათელი, მტერთან მტრულათ განწყობილი. დევნა მას აკაჟებს, თავსდასხმა ავაჟკაცებს.

მტრის ბანაკი გარიყულია, ის უკმაყოფილო ერით შემოქალტულია; მათ შორის ყველა შემაერთებელი ძაფები დაწყვეტილია და მხოლოდ მტრობა მათი მოციქულია.

განა ეჭვია ვინ გაიმარჯვებს! ისტორიის ჩარხს უკუღმა ვინ დააბრუნებს? მოსკოველთა საქმე წაგებულია, ისინი ისტორიის მიერ განწირულია.

დროს რა მნიშვნელობა აქვს, იქნება ადრე თუ გვიან—ეს დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე, მთავარია ის, რომ მტერის დამარცხება უეჭველია, მისი დასასრული გარდაუვალია. რა არის ათი წელი ხალხთა ცხოვრებაში? ის ერთი წამია, ერთი შეფრქვევაა. ქართველი ერი სწორეთ ასე შორს იხედებოდა და ამიტომ ქედი არ მოიხარა გამარჯვებულთა წინაშე. ის დარწმუნებულია მტრის დაცემაში, მის დარღვევაში, მისი ბოროტების აღმოფხვრაში და ეს რწმენა მას ამხნევებს, ასალკლდევებს ეს ათი წელიწადია.

და გამართლდა მისი ეს შორსმჭვრეტელობა, ახლა აშკარა გახდა ბრმათათვისაც ეს მისი რწმენა.

გავიდა ათი წელი და რას ვხედავთ? ვხედავთ მტერს დასნეულებულს, უკურნებელი იარებით დაავადებულს, გახრწნილს, თავის შინაგან წინააღმდეგობათა ბადეში გახლართულს და სასიკვდილოთ გამზადებულს.

ვხედავთ მის მოსაფლავეთ, დევნილ და წამებულ ხალხებს, გამხნევებულთ, იმედით აღსავსეთ, უკანასკნელი ბრძოლისათვის გამზადებულთ. ჩვენ მარტონი აღარა ვართ, ჩვენ გვემატება ახალი მოკავშირენი; ისინი კი, პირიქით, მარტოვდებიან, კარგავენ ძალას, შორდებიან მთელ ქვეყანას და უფსკრულისაკენ მიექანებიან.

მოსკოველთა დღე დათვლილია, მათი მზე ჩადის, ჩვენი მზე ამოდის. განთიადი მოახლოვებულია.

საქართველოს კანონიერი მთავრობა, უცხოეთში გადმოხვეწილი და აქ ერის დაკარგული უფლებისათვის მებრძოლი, ამ ათი წლის თავზე შორიდან უძღვნის სალამს მთელ ქართველობას და მას უთვლის: ჩვენ აქ ძველებურათ მაგრათ ვდგევართ ქვეყნის სადარაჯოზე, ჩვენი გული სცემს თქვენ გულთან ერთათ, თქვენი სული გვაძლევს აღფრთოვანებას. მომავალ დიად გადატეხას შევხვდეთ მთლიანათ, საერთო ნებისყოფით, საერთო სულისკვეთებით და სხვა ჩვენებრ დატანჯულ ხალხებთან ერთათ აღვმართოთ ჩვენი დროშა, დროშა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენის, კავკასიის ხალხთა კონფედერატიული კავშირის დაარსების და სხვა საბჭოთა უღლისაგან განთავისუფლებულ ხალხებთან ძმური დამოკიდებულების და კეთილი მეზობლობის დამყარების.

მოწინავე კაცობრიობა თქვენ თავდადებულ ბრძოლას შეჰყურებს!

საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე

ნ. ჟორდანია.

პარიზი
თებერვალი
1931

წერილები საქართველოდან

საერთო მდგომარეობა.

ოქტომბერი

ახალი სამოსწავლო წელი ტირანებმა ქართული უნივერსიტეტის გაუქმებით დაიწყეს. უნივერსიტეტის ნაცვლათ რამოდენიმე ინსტიტუტი დააწესეს და ის კომსომოლების საჯიჯგნ ორგანოთ გადააქციეს, სადაც გიგლა კვიცარიძე და ვაშაყმაძეები პარტიულ მანდატებით ღებულობენ «პროფესორებს». ასეთ საზიზღრობას ვაჟბატონები შ. ნუცუბიძე და კ. კეკელიძე ტაშს უკრავენ... საყოველთაო სავალდებულო სწავლა, ისიც ოთხწლედის მასშტაბით, მხოლოთ გაზეთების სალაყბო საგანია, სინამდვილეში კი არაფერი ამის მსგავსი არ ტარდება. სკოლებიდან მასიურათ იდევნება გამოცდილი უპარტიო მასწავლებლები და მის ადგილს იჭერს უზნეო და უვიც კომსომოლთა ხროვა. სკოლები უსახსროთ არიან. პროგრამები ყოველ წლობით იცვლება და თანდათანობით სრულ აბსურდამდე მიდის: მათემატიკაც კი ლენინის და სტალინის დოქტრინების შეზავებით უნდა ასწავლონ... ბავშვების დიდი უმრავლესობა ფსიხონევროზით და ტუბერკულიოზით არის დაავადმყოფებული, რაიცა, თვით ოფიციალური ცნობებით ცუდი კვების და აღზრდის შედეგია.

საბჭოთა ეკონომიკის მდგომარეობა რუსეთში უკვე 1921 წლისას დაუბრუნდა, ეხლა ის ჩვენშიაც ახლოვდება. პურს, ყოვლად უვარგისს შავი ხარისხისას, წიგნაკებით იძლევიან სულზე ერთ გირვანქას დიდ ქალაქებში, ხოლო პროვინციის ქალაქებში არც ის იშოვება. ფართლეულობაც სულ გაქრა. ბედნიერ კაცს ერთ წელში ერთი ხალათის ორდერი შეხვდეს ეგების და ისიც ლიტერით და ეს მაშინ თუ ერკოპის წევრი ხარ. ფეხსაცმელი და ტყავეულობა სრულებით აღარ იშოვება, ერთი წუღის მისაღებათ ოცდაათი ორგანიზაცია უნდა შეაწუხო და ისიც ყოვლათ უვარგისი და ძალიან ძვირათ ეგების ექვს თვეში ერთი შეგხვდეს თუ რომელიმე წარმოებაზე ხარ მიმაგრებული. ერთი წყვილი ფეხსაცმელი—100—150 მან. ღირს. საკვები პროდუქტების უდიდესი ნაკლებობა და კრიზისია. განსაკუთრებით ამ მხრივ მუშების მდგომარეობაა უნუგეშო. გირ. ყველი კერძოთ 5-6 მანეთი ღირს თუ იშოვე. გირ. კარაქი 10-12 მანეთი. ერკოპს ეს პროდუქტები სრულებით არ აქვს. ხორცმა ხომ დიდი ხანია ჭირი მოგჭამა, ის შეგიძლია მხოლოთ კონტრაბანდით იყიდო კვირაში ერთხელ სიძვირის გამო. გირ. პური კერძოთ შავი ხარისხის 45 კაპ. ფასობს, ბოთლი ღვინო 5-6 მანეთამდე. მუშის საშუალო ხელფასი კი არ აღემატება 60-70 მანეთს და აქედან კი სხვადასხვა ანარიცხები გექვითება კიდევ. დაბალი მოსამსახურეები თვიურათ მხოლოთ 36 მანეთს იღებენ, სამაგიეროთ, პარტ. ბიუროკრატები და ჩეკისტები 500-1000 მანეთამდე ღებულობენ და განცხრომით ცხოვრობენ. მათთვის ხომ ყველაფერი და რამდენიც უნდათ იშოვება სხვადასხვა სპეციალური მაღაზიებიდან.

გლეხობაში უდიდეს მღელვარებას აქვს ადგილი. გლეხის არსებობა საკუთარი ნატურალური წარმოებით განისაზღვრება. მის ნაწარმოებს ჩალის ფასათ ითვისებენ. აბრეშუმის პარკი ფუთი 27 მანეთად შეისყიდეს, როცა ბაზარზე ერთი წუდა 25-30 მანეთამდე ფასობს. ერთი გირ. საპონი თუ იშოვე, 3 მან. ღირს. გლეხს არ აქვს საშვალება რაიმე მისი ნაწარმოები ბაზარზე გაიტანოს და თავისუფლათ გაყიდოს ის ვალდებულია ყველა მონარჩენი ან გაჭირვების გამო ბაზარზე გასატანათ გადიდებული ნაწარმოები მთავრობის მიერ დაწესებულ ფასებში კოოპერატივს ჩააბაროს, ხოლო სამაგიეროთ ნაწარმოების ღირებულების 30 პროცენტსაც კი ვერ იღებს. ამ მუქთათ შეძენილ საქონელს კი ბოლშევიკები ყიდიან საზღვარგარეთ იქაურ ფასზე 50 პროც. დაკლებით! ფულის კურსი დღითი დღე ეცემა, ჩერვონცები უკვე ბონებს მოგაგონებენ. ფულიც რომ იშოვო, საქონელი არ არის საყიდლათ. იმ ქარხნებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის საგნებს ამუშავებენ დიდი ნაკლებობა აქვთ ნედლი მასალის მიუხედავათ იმისა, რომ ყველაფერზე მონოპოლიაა გამოცხადებული, დაწყებული აბრეშუმიდან და გათავებული ბოსტნეულით.

რუსეთიდან ჩამოსული ლტოლვილები საშინელ სურათს აგვიწერენ იქ ხომ ცხენის ხორციც დიდი ხანია არ იშოვება. აქ ჩვენთან შედარებით სამოთხეაო გაიძახიან ეს წყალწაღებული ხალხი. აურაცხელი ლტოლვილები მოდიან პირდაპირ ფეხით რუსეთიდან. თბილისში ერთი პატარა ოთახი ათას მანეთამდე ფასობს, თუ იშოვე. საწარმოო გეგმების შესრულებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ტფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოში (დეპო) მუშებს წერილობით პირობას ართმევენ, რომ სამუშაო თავისი ნებით არ დასტოვონ. ასეთ ზომებს მიმართავენ მთელ რიგ სხვა ქარხნებშიც. პარკის უქონლობის გამო აბრეშუმის ძაფის სართავი ქარხნები თითქმის დადგნენ. ოზურგეთის აბრეშუმის ქარხანაში ბავშის უმაღლესი ჯამაგირი არ აღემატება 47 მანეთს. ამის გამო ქარხანაში არავინ არ იცდის და იქ მხოლოთ ოციოდე მუშა დარჩა ხუთასი კაცის მაგიერ. მუშები მასიურათ გარბიან შეთურის მაღაროებიდანაც და სახლში ცარიელი მჭადით კვება ამჯობინეს იქ ტანჯვას და დასნეულებას. ძველი მუშების ადგილის დასაკავებლათ მობილიზაცია მოახდინეს სოფლებიდან ახალგაზდა კომსომოლების და უნდათ მათი გამოყენება და გაწრთნა, მაგრამ უვიცი კომსომოლები მუშებათ არ გამოდგნენ და ყველაფერი მილეწ-მოლეწეს და დაანგრიეს. ახალი სესხით «ხუთ წლედი ოთხ წლედში» დაბეგრეს მთელი მშრომელი ხალხი. ვინც უარს იტყვის მის შეძენაზე, ადგილიდან დათხოვნა მოელის. ეს უკვე მეოთხე სესხია, რომლითაც ბოლშევიკები ისეღაც გალატაკებულ ხალხს ტყავს აძრობენ. რაც მთავარია ობლიგაციის პატრონს გაყიდვა მისი აკრძალული აქვს, თუმცა სახელმწიფო ბანკი მას ისეღაც არ ახურდავებს. ყველა დაწესებულება და ფაბრიკა-ქარხნები აავსეს ახალგაზდა უვიცი პირებით. მათი დანიშვნა გამართლებულია მხოლოთ წითელი მანდატებით და ვინმე დიქტატორის ნდობით. ერთი სიტყვით, საბჭოთა აპარატი სავსებით გახრწნილია, მისი ეკონომიკა სრულ კატასტროფამდეა მისული და მას გამოსავალი არ აქვს. მას მხარს უჭერენ მხოლოთ ჩეკის ბასრი ხმალი და გეპეუს ჯარების ნაწილები, რომლებიც ჯერ კიდევ სხვაზე კარგ პირობებში არიან სურსათისა და მატერიალურის მხრით. მშრომელი ხალხი კი იძულებულია დილის ხუთი საათიდან ადგეს და პურისა და ერთი გირ. კართოფილის მისაღებათ მთელი 5-6 საათი იდგეს რიგში და ნახევრათ მშიერ-ტიტველი იმუშავოს და არჩინოს საბჭოთა ბიუროკრატები. წითელი ჯარის ნაწილებშიც ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მათი სურსათ-სანოვაგით მომარაგების მხრით, თუმცა იქაც შეამცირეს ზოგი რამ და უკმაყოფილებამ იქაც იჩინა თავი, ვინაიდან მათ კარგათ ესმით თუ რა საშინელ გაჭირვებას განიცდიან მათი ცოლშვილი და მშობლები სახლში. ასე რომ ხალხის უკმაყოფილება დღითი დღე იზრდება და მოთმინების ფიალაც ივსება...

ნოემბერი.

ქართველი ხალხი შიმშილის აჩრდილის წინაშე დგას. მაშინ როცა პარტ-ბიუროკრატიის ზედა ფენები განცხრომაშია, ჩეკის აგენტები პრივილეგიურ მდგომარეობაშია ჩაყენებული და მათ საცხოვრებლათ კვებავენ სპეციალურ სასადილოებში, იმ დროს მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ენერგია და ნერვები რიგებში დგომით იცვლება ერთი გირ. შავი პურის და კართოფილის მისაღებათ. უწიგნაკოთ და უორდეროთ უკვე არაფერი, ხილიც კი არ იშოვება საბჭოთა ბაზარზე. ნავთი, მარილი და ყველა სხვა პროდუქტები იმავე პირობებში შეიძლება შეიძინო, როგორც შაქარი, საპონი, ტანისამოსი და სხვ. ე. ი. ორდერებით და ათასგვარი ხლაფორთით და ისიც არა საკმაო. ამ ნავთის ქვეყანაში, როცა ბათუმისაკენ დღეში რამოდენიმე ეშელონი ცისტერნა გაივლის უცხოეთში ჩალის ფასათ გასაყიდათ, აქ მუშა-მოსამსახურემ თვეობით უნდა იცადოს, სანამ ნავთის განსაზღვრული რაოდენობის მიღებას მოესწრებოდეს.

გლეხებს, რომლებიც მთელი წელიწადი იწურებოდნენ კოლექტივის თუ თავის საკუთარ ყანებში, ნაოფლარი სულ წაართვეს და სახლში საჭმელი სიმინდი თუ პურიც აღარ დაუტოვეს. გლეხებს რჩებათ მხოლოთ მთელი მოსავლის დაახლოვებით 25 პროცენტამდე. ამ რიგათ 75 პროც. ჩალის ფასათ ან სულ უფასოთ მიაქვთ ტირანთა ხროვებს თავისი გაბერილი აპარატის და ჩეკისტთა ბრბოების სარჩენათ ან და უცხოეთში გასატანათ და იქ დაბალ ფასებში გასაყიდათ.

მუშების რეალური ხელფასი დღითიდღე ეცემა ფულის კურსის დაცემის და ხელფასის ერთ დონეზე გაყინვის გამო. ვინ გაბედავს აბა ხელფასის მომატებაზე კრინტის დაძვრას! საკვები პროდუქტები და ტანსაცმელ-ფეხსაცმელი კოოპერატივებში სულ გამოილია. პური ხიშტებით და დამსჯელი ექსპედიციებით იქნა აკრეფილი სოფლებში. ამაზე მრავალი უბედურება დატრიალდა პურის რაიონებში. ორი თვეა მუშა მოსამსახურეებს ხელფასი არ მიუღიათ თითქმის ყველა დარგში. გაიძახიან ფული არ არის ბანკებშიო. ამით უნდათ დაატრიალონ ფულის კრიზისი და მით ხელი შეუწყონ ფულის კურსის დამაგრებას. კატასტროფის გზაზეა შემდგარი სულიერი კულტურის საქმეც. სკოლებიდან მასწავლებლებს ერეკებიან თუ ის პარტიული არ არის. ასეთ დევნას განიცდის მოწაფეებიც. ჯგუფებს ამცირებენ. მაგ. თვითეულ ჯგუფში უნდა იქნეს 42 კაცი და მათ ასწავლის ერთი მასწავლებელი. ამ ჯგუფის ბინაზე კი შესაძლებელია მოთავსდეს მხოლოთ 20-25-მდე მოწაფე. ამას ჩადიან მასწავლებლების შემცირების მიზნით. ეს გამოწვეულია იმით, რომ საქართველოში განათლების საქმის ბიუჯეტი ძალიან შემცირებით. მოწაფეობა აუტანელ პირობებშია. ბაზარზე მოწაფე ვერ შეიძენს ერთ უბრალო 3 კაპეიკიან რვეულსაც კი. რადგანაც ასეთი რამ სახლგამს აღარ გააჩნია. საწერი ქაღალდი ხომ სანატრელია. სასწავლო წიგნების ახალი სია მხოლოთ «კომუნისტის» მეოთხე გვერდზე დაიბეჭდა და ამით გათავდა საქმე. ისე კი ეს წიგნები აგვისტოში უნდა დაბეჭდილიყო და მით ეხელმძღვანელა ყველა ჯგუფებში მასწავლებლებს და მოწაფეებს, მაგრამ ჯერაც არ დაბეჭდილა უქაღალდობის და საერთო კრიზისის გამო. სამოსწავლო წელი კარგა ხანია დაიწყო, მაგრამ არც ერთი ჯგუფისათვის ჯერ პროგრამა არ არსებობს, ხოლო ძველი პროგრამით რომ იხელმძღვანელონ, ამას დანაშაულათ და კონტრრევოლუციათ ჩაგითვლიან და პასუხს მოგთხოვენ. სკოლებს არ გააჩნიათ მისთვის საჭირო რესურსები 15 პროც. კი საშვალოთ. მასწავლებლებს, ისე როგორც სხვა დარგის მუშა-მოსამსახურეებსაც არ მიუღიათ სექტემბრის და ოქტომბრის ჯამაგირები. რძის პროდუქტები ქალაქებში სანატრელ საგნათ არის გადაქცეული. შიმშილობისა და სიბინძურის ნიადაგზე გავრცელებულია პარტახტიანი ტიფი და სხვა ათასგვარი გადამდები სნეულებანი. წამლები თითქმის სრულიათ არ იშოვება აფთიაქებში. უნდა ითქვას, რომ ქალაქებში კვების საქმე გაცილებით უფრო ცუდ პირობებშია ვინემ სოფლათ, რადგანაც გლეხი მთლიანათ თავის საკუთარ მეურნეობაზეა დამოკიდებული და ბაზარზე რამის შეძენაზე თავს არ იცხელებს. ხუთწლიანი გეგმები ყოველგან კოტრდება. დაბალი ორგანიზაციები მაღალ ორგანიზაციებს ატყუებენ და განგებ ბერავენ ციფრებს, რომ რისხვა თავიდან აიცილონ. შემდეგ ამას ემატება ზემო ორგანოებში წამატება თავის გამოჩენის მიზნით და გამოდის გეგმის მხოლოთ ქაღალდზე შესრულება. მაგალითად შემდგარია გეგმა, რომ «გრუზ რიბამ» უნდა დაიჭიროს ნოემბერში საქართველოს წყლებში ათასი ფუთი თევზი. მაგრამ აღნიშნულ თვეში წყალში ამდენი თევზი არ აღმოჩნდა, სადღაც მიიმალა წყეული თევზები... დაბალი ორგანიზაცია ამცნობს ბიუროკრატებს დაჭერილია მხოლოთ ასი ფუთი, დანარჩენი ვერ შესრულდაო... «კომუნისტის» რედაქციას გაუჩნდება საქმე თევზების და ვიღაცეების ურჩობა მავნებლობის შესახებ. ატყდება ამაზე განგაში მავნებლობაზე და დაუდევრობაზე და, საწარმოო და საფინანსო გეგმების შეუსრულებლობაზე გაზეთებში. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ჩეკის ძაღლებმა და მოსპონ «მავნებლობა». თუ რომელიმე ასეთი სულელური გეგმა ჩაიშალა, და ასეთები ყველა იშლება, ეს მავნებლობის და კონტრრევოლუციის საქმეთ არის გამოცხადებული. ვინ არიან ეს მავნებლები? ცხადია უპარტიო მუშები და სპეცები და მათ ციხის კარებისაკენ ერეკებიან.

მოსახლეობა ფიზიკური განადგურების პირზეა მიმდგარი. კომუნისტური მასაც კი აალაპარაკა ტირანების ამ უმსგავსო მოქმედებამ. დღეს ჩვენში უკმაყოფილებას ხელისუფლების წინააღმდეგ ყველა აშკარათ აღიარებს...

დეკემბერი

ზამთარი კარგიხანია დაიწყო და არაფერი მომარაგებული არ არის. საშინელი კრიზისია სათბობი მასალის, ტანსაცმელზე და საკვებ პროდუქტებზე ლაპარაკიც ზედმეტია. ხელისუფლება და კომპარტია ხომ დღითი დღე იხრწნება. დღეს, რომ დიდი კაცია და ქვეყნის ბატონ-პატრონი, ხვალ ვინ იცის რა მოელის. აგვისტოს «გმირი» ლ. ღოღობერიძე,

ეროვნული

გუშინდელი საქართველოს დიქტატორი, დღეს უადგილოთ დაეხეტება.

საქონლის არანახულ კრიზისს ზედ დაერთო ფულის კრიზისი. სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის ჯამაგირები ჯერაც არ დარიგებულა, დაარიგეს მხოლოთ სექტემბრის ავანსები და ისიც ერკოპის ჩეკებით, მას მხოლოთ ერკოპში მიიღებენ. რომ სული გძვრებოდეს ერთ მანეთს ვერსად იშოვი. საზოგადოების ყველა ფენები აუტანელ კრიზისს და გაჭირვებას განიცდიან.

გლეხებს ართმევენ ყველაფერს. ეს მეორეთ შესევია სოფლებს დამკვრელი ბრიგადები და ართმევენ იმასაც კი, რაც ერთხელ დაუტოვეს. ეხლა სიმიდის კულტურის რაიონებში მიდის სიმიდის დამზადების კამპანიები. ბევრს სიმიდი არ აქვს, მაგრამ ის მაინც იძულებულია შეწერილი რაოდენობა შეიძინოს ფულით ბაზარზე და ბეგარა გადაიხადოს. მთავრობა სიმიდს იღებს 1 მან. 50 კ. მაშინ როცა ბაზარზე ის ფასობს 8-10 მანეთამდე, ვინც დავალებას არ შეასრულებს, მას დაპატიმრება მოელის. ასეთი მდგომარეობა დიდ მღელვარებას იწვევს. ეხლა მიდის აგრეთვე თამბაქოს დამზადების კამპანიაც. ფუთ თამბაქოში მთავრობა იძლევა 12 მანეთს. კონტრაბანდათ კი თამბაქო ფუთი 120 მანეთად იყიდება. ამ ნიადაგზე ადგილი ქონდა ბევრ ინციდენტებს. აი მაგალითად, ლაგოდეხში მოჰკლეს მეთამბაქოეთა ტრესტის ინსტრუქტორი მაქსიმენკო. ძალიან გახშირებულია ტერორისტული აქტები და ძარცვა-გლეჯა.

გავრცელებულია ხმები, რომ გაზაფხულიდან დაიწყება კოლექტივიზაციის გატარება. დაშინებული გლეხობა თუ რაიმე შერჩა ანადგურებს და გული სამუშაოთ არაფერზე არ მიუდის. სულ გაწყვიტეს შინაური საქონელი. გავწყდებით და კოლექტივებში არ შევალთო, გაიძახიან გლეხები. წელს უფრო სერიოზული ამბებია მოსალოდნელი ვიდრე შარშან. მდგომარეობა მეტათ სერიოზულია. კომუნისტური ქვედა ფენები აშკარათ ილაშქრებენ საბჭოების წინააღმდეგ და გაჭივრებულ ხალხს მოუწოდებენ მოქმედებისაკენ. ბევრი მოვიდა ეჭუაზე მაგრამ ეხლა გვიანღაა. ვნახოთ რას მოგვიტანს მომავალი...

სასოფლო მეურნეობის განიავება.

მთელი თავისი ბუნებით გლეხი საკუთრების მოყვარულია. ის მტკიცეთ არის მიმაგრებული თავის ნაჭერ მიწას, არ ზოგავს შრომას და ოფლს იმისათვის, რომ მისი მონაპოვარის სრული ბატონ-პატრონი იყოს. მით უმეტეს ეს ითქმის ქართველ გლეხზე. მით უფრო გასაგებია, თუ როგორ წინააღმდეგობას გაუწევდა გლეხობა ხელისუფლებას, რომელმაც მოინდომა მოსკოვიდან მოსულ განკარგულების ასრულება: «უნდა ჩატარდეს სასოფლო მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია». მოსკოვის დამქაშები ანგარიშში მოსტყუვდენ. გლეხობა არ აღმოჩნდა ისეთი ინერტიული მასსა, რომლის ჩამოყალიბება მოსკოვიდან ნაბრძანებ ფორმაზე ადვილი იყოს. სოფლებს ნამდვილი აჯანყება მოედო. რა თქმა უნდა ის არ ატარებდა ორგანიზაციულ ხასიათს. დაიწყო გამოსვლები ჯგუფურად, გახშირდა თავდასხმები აღმასკომებზე და ცალკე კომუნისტებზე. განსაკუთრებით ამ მოძრაობამ ფართო ხასიათი კახეთში მიიღო, სადაც კომუნისტები ღამით გამოსვლას ვერ ბედავდენ და მუდამ სიკვდილის მოლოდინში იყვენ. თვით ტფილისის ახლოს რამოდენიმე ვერსის მანძილზე: სოფ. მარტყოფში, ხაშმში, პატარძეულში, ნინოწმინდაში, საგარეჯოში, გიორგი-წმიდაში, თოხლიაურში, მანავში, გლდანში და სხვა კიდევ მრავალ სოფლებში მთავრობა რამდენიმე დღის განმავლობაში დაპატიმრებული ჰყავდათ გლეხებს, რომლებმაც თავიანთი ხალხი აირჩია თავის საქმეების გასაძღოლათ. უკანასკნელათ, როდესაც მთავრობამ მოლაპარეკებით ვერ დაარწმუნა გლეხობა, მიმართა სამხედრო ძალას და რუსის ჯარის საშუალებით იქნა «დაწყნარებული» აჯანყებული სოფელი. პატარძეულში ჯართან შეტაკების დროს მოჰკლეს რამდენიმე ღარიბი გლეხი, მაგრამ როდის იყო, რომ კომუნისტები ასეთ ამბებს პრესის ფურცლებზე ათავსებდენ. საქართველოს ერთმა კუთხემ არ იცოდა რა ხდებოდა მეორე კუთხეში, ისე მოსწყვიტეს ისინი ერთმანეთს. შეუკავშირებლად და პარტიზანულად მებრძოლი გლეხობა რას გახდებოდა რუსის ჯარის წინაამდეგ! სოფელი განადგურებულ იქნა. ვინც კოლექტივში შესვლაზე უარს ამბობდა კულაკად ნათლავდენ და ასახლებდენ მთელი ქონების კონფისკაციით. ამ მოვლენამ აღმოსავლეთ საქართველოში მოწინავე გლეხობა იმსხვერპლა, მრავალი და მრავალი ციხეებში ჩაყარეს, ნაწილს კი რუსეთის ცივ ადგილებისაკენ უჩვენეს გზა. დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გურიაში, სადღაა მოწინავე გლეხები, ისინი დიდი ხანია მოაშორეს თავიანთ კერას. გურია დღეს «მეჩხერ ყანას» წარმოადგენს. რადგანაც მისი დიდი ნაწილი, როგორც გლეხობა ისე ინტელიგენცია და ახალგაზდობა, ვინ მოთვლის ციმბირის რომელ მიყრუებულ სოფელში არ არიან. ის რაც 1924 წლამდე ნაკლებათ უგემია აღმ. საქართველოს გლეხობას, ეხლა სავსებით აგემეს. სოფელი განადგურდა, გაძვალტყავდა, გლეხობას შრომაზე გული აუცრუვდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდება ქალაქისათვის კატასტროფიულად დაეცა. მოხდა ის რაც არ ახსოვს საქართველოს ისტორიას. ძალათ ამტვრევდენ მუშა საქონელს, მეწველ ძროხებს, რომ ამით საბაბი ქონოდათ დაკვლის; იმ დღეებში საქართველოს სოფლებში პირდაპირ ღრეობა იყო გამართული, მაგრამ ღრეობა ისეთი, რომელსაც გლეხი ცხარე ცრემლსაც ზედ აყოლებდა. რადგახაც შეექცეოდა თავის მარჩენალ მუშა საქონელს. მეცხვარეებმა ხომ სულ გაანადგურეს თავიანთი ცხვარი. იყო შემთხვევა, რომ მეცხვარემ შიგ ფარეხში ამოწყვა მთელი თავისი ფარა. ყველაფერი ეს მოხდა ერთ კვირაში «თავის ნებით» გაკოლექტივიზაციებულ ქვეყანაში!

სამხრეთ-ოსეთში რამდენიმე ქართველი გლეხი დაიჭირეს კოლექტივიზაციის წინაამდეგ გალაშქრებისათვის, რის შემდეგ ხუთმა ქართულმა სოფელმა: მამაკაცებმა, ქალებმა, ბავშებმა, ყველამ მოიყარეს თავი ცხინვალის ჩეკასთან და მოითხოვდენ მათთან ერთად დაეპატიმრებიათ ისინიც. ჩეკა იძულებული შეიქნა დაპატიმრებულნი გაენთავისუფლებია. და განა კულაკები იყვნენ ისინი, განკულაკებაზე რომ გაჰკივიან ჩვენი მოსკოვის ლაქიები. ავტონომიურ ოლქში ქართველების პირობები ხომ აუტანელია...

კომუნისტურმა ხელისუფლებამ ასე ერთი დაკვრით გაანადგურა ისედაც შევიწროებულ პირობებში ჩაყენებული სასოფლო მეურნეობა, ხოლო ერთი ხელის დაკვრით მისი აღდგენა შეუძლებელია. მკითხველს ეცოდინება უკანდახევის ამბავი: სტალინმა თავისი ერდგული მონა გასწირა საქართველოში. მან ყველაფერი კახიანს დააბრალა, კოლექტივიზაცია შეაჩერეს. გადასწყვიტეს დაეტოვებიათ კოლექტივიზაცია ქწნილად მხოლოდ ორი რაიონი: ხაშური და ლანჩხუთი. მაგრამ პირველში, მიუხედავათ იმისა რომ «მსოფლიო მუშათა კლასის ბელადის» სახელს ატარებს, კოლექტივი მალე დაიშალა. მეორე კი, წელში გატეხილ გურიის ერთ-ერთი კუთხეა, რომელსაც არას გზით არ დაინდობდენ რომ რამე გაებედნა. და მართლაც გურია, რომ ქართლ-კახეთივით მოქცეულიყო ის ეხლა მთლიანად რუსეთში იქნებოდა. მაგრამ კოლექტივი აქაც თანდათანობით იშლება, რჩებიან მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ გაკულაკებული კომუძისტები, რომელთაც ერთის მხრივ კიდეც უხარიათ, თუ კი კოლექტივები დაიშლება, რადგანაც დღეს სოფლის შეძლებულ ნაწილს ისინი წარმოადგენენ.

როგორ გადასჭრეს უმუშევრობის საკითხი ბოლშევიკებმა

გასული წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოში 32 ათასი უმუშევარი ითვლებოდა. ამ რიცხვიდან დამზღვევ სალაროებიდან ყოველ თვიური დახმარება ეძლეოდა 14 ათას კაცს. 10 ოქტომბერს მოსკოვის მმართველებმა გამოსცეს განკარგულება—მოეხდინათ 5 დღეში უმუშევართა ლიკვიდაცია. ხოლო დამზღვევ სალაროებს ებრძანა დახმარებიდან მოეხსნათ ყველა უმუშევარი.

ამ რიგად, არ აკმარეს უმუშევრებს შიმშილი და სიტიტვლე და ბოლოს ყველა მუქთა ხორათ გამოაცხადეს. «საბჭოთა რესპუბლიკებში უმუშევრობას ადგილი არა აქვს, ხოლო თუ უმუშევრები ირიცხებიან ბირჟებზე, ესენი მუქთა ხორები და ზარმაცები არიანო», ასე იხსენიებს უმუშევრებს მოსკოვის ოფიციალური ცირკულიარი. ამ განკარგულების განსახორციელებლად ბოლშევიკებმა შექმნეს ბრიგადები. ხუთ დღეში გამოუძახეს ყველას და მისცეს სამუშაოზე წასვლის წინადადება. ვინც უარი განაცხადა, მოხსნეს ბრიგადიდან და დამზღვევ სალაროდან.

ეს თითქოს ბუნებრივია. თუ უმუშევარი სამუშაოზე გასვლას არ მოისურვებს, აშკარაა ბირჟიდან მოიხსნება და აღარც დახმარება მიეცემა; მაგრამ კითხვა იმაშია თუ როგორ სამუშაოზე გასვლის წინადადება ეძლევათ უმუშევრებს.

უმუშევართა შორის ორ მესამედს შეადგენენ გონებრივად მომუშავენი: ეკონომისტები, მასწავლებლები, კანცელარიის მოხელენი, ექიმები, იურისტები, მემანქანეები. ასოთ-ამწყობნი და სხვა. აი ყველა ამ პირებს წინადადებას აძლევდენ წასულიყვნენ ყარაიაზის მიდამოებში ბამბის საკრეფად, მიწის სათხრელად და სხვა შავ სამუშაოებზე. მიერეკებოდენ ათასობით უმუშევრებს ბამბის საკრეფად, დილიდან საღამომდე ამუშავებდენ, ხოლო საღამოს მათთვის არ იყო არც პური, არც წყალი და არც ბინა. ჩარდახებში შეყრიდენ ერთად ქალებსა და კაცებს და ყარაულებს უყენებდენ, რომ არ გაქცეულიყვნენ. ჩვენ გვინახავს ოსმალო ტყვეები ომის დროს, რომლებსაც ამუშავებდენ იძულებით, მაგრამ მათი პირობები გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ამ ახალი ტყვეებისა.

მასწავლებელ ქალებს, ეკონომისტებს და სხვათა აგზავნიდენ შავ სამუშაობზე: მიწის სათხრელათ, ეზოების დასასუფთავებლად და სხვა. ვისაც რაიმე სახსარი ჰქონდა იხსნებოდენ დამზღვევ სალაროდან, ხოლო ლუკმა პურს მოკლებულნი იძულებულნი იყვნენ გამხდარიყვნენ მონები.

აი როგორ მოსპეს ბოლშევიკებმა უმუშევრობა საქართველოში. დღეს საბჭოთა ორგანოების ცნობით საქართველოში აღარ არის არც ერთი უმუშევარი!

როგორ ძარცვავენ ბოლშევიკები გლეხკაცობას.

გასულ წელს საქართველოს მეღვინეთა კავშირმა დასდო ხელშეკრულება კახეთის მევენახე გლეხებთან. მეღვინეთა კავშირი ვალდებული იყო ომამდე არსებული ფასებით მიეწოდებია გლეხებისთვის შაბიაბანი, გოგირდი, ტანთსაცმელი და სხვა, ხოლო გლეხები ვალდებულნი იყვნენ ვედრო ღვინო კავშირისათვის ჩაებარებიათ 3 მანეთის კვალობაზე. დღეს, როცა ღვინის ჩაბარების დრო დადგა, გლეხებს ღვინის საფასურში საქონლად აძლევენ მხოლოდ 20 პრ., დანარჩენს კი ფულად—ვედროში 3 მანეთს. ეს იმ დროს, როცა იმავე ღვინოს კავშირი ტფილისის ბაზარზე ყიდის ვედროს 32 მანეთად. თვით სოფლებში კი კერძო პირები გლეხებს აძლევენ ვედროში 20-დან 25 მანეთამდე. ამნაირად, საბჭოთა მთავრობამ არ იკმარა ხორბლეულობის მუქთად წართმევა და ეხლა უბედურ გლეხებს ღვინოსაც მუქთად ართმევენ.

გატიტვლებული გლეხები ჩივიან თავის ბედს, მაგრამ, როგორც მთავრობა, ისე სასამართლო მიუთითებს ხელშეკრულებაზე, ხოლო რომ ეს ხელშეკრულება პირველად მეღვინეთ კავშირმა დაარღვია, ამაზე სდუმან.

◆

ინგლისი და ინდოეთი

გასულ ნოემბრის შუა რიცხვებში მაკდონალდის მთავრობის მიერ მოწვეულ იქნა ლონდონში ანგლო-ინდოელების კონფერენცია, სადაც უნდა გარკვეულიყო ინგლის და ინდოეთს შორის დამოკიდებულება და ეს დამოკიდებულება სათანადო კონსტიტუციონურ ფორმებში ჩამოეყალიბებიათ.

ინდოეთის ნაციონალური კონგრესი მზათ იყო ლონდონის კონფერენციაზე თავის წარმომადგენლები გაეგზავნა, თუ კონფერენციაზე ინდოეთში დომინიონის სტატუტის შემოღების საკითხი სადავო არ გახდებოდა და ლაპარაკი იქნებოდა მხოლოთ ამ სტატუტის განსახორციელებელ გზებზე და საშუალებებზე. მაკდონალდის მთავრობა არ დაეთანხმა ნაციონალურ კონგრესის იმ აზრს, რომ კონფერენცია განსაზღვრული ყოფილიყო ამა თუ იმ კითხვებით და იქ დომინიონის სტატუტის საკითხი სადავო არ გამხდარიყო. ნაციონალურმა კონგრესმა კონფერენციაზე მონაწილეობაზე უარი სთქვა და მას ბოიკოტი გამოუცხადა. ამ რიგათ ლონდონის ანგლო-ინდოელების კონფერენციას დაესწრენ ინგლისის სამივე პოლიტიკური პარტიების და ინდოეთის ზომიერ მიმდინარეობათა წარმომადგენელნი.

კონფერენციამ დიდი გაკვირვება გამოიწვია როგორც ინგლისში, ისე ინდოეთშიდაც. ინგლისის საზოგადოებრივი აზრი გაკვირვებული დარჩა მით, რომ მას დღემდე არ სცოდნია, თუ რა დიდი ლტოლვა ყოფილა ინდოეთის თვითგამორკვევისადმი თვით ზომიერ ინდოელთა შორისაც კი. ინგლისის პრესა დღემდე ამას მალავდა. ინდოეთის საზოგადოებრივი აზრი კი გაკვირვებული იყო მით, რომ ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა კონფერენციაზე დამსწრე ინდოელები დახატა მოღალატეებათ, რომელთაგანაც არავითარ კარგს არ უნდა მოველოდეთო.

ინდოელი დელეგატები თავგამოდებით იცავდენ კონფერენციაზე ინდოეთის თვითგამორკვევის უფლებას და დომინიონის სტატუტს. ისინი არ მალავდენ, რომ მათ დღეს ინდოეთში მათი თანამემამულენი მოღალატეებათ სთვლიდენ. მაგრამ ეს ჩვენ ხელს ვერ შეგვიშლის ჩვენი ქვეყნის ინტერესების ენერგიულათ დაცვაშიო, ამბობდენ ისინი.

ინგლისმა ანგარიში უნდა გაუწიოს იმას, რომ ინდოეთმა ამ 10 უკანასკნელი წლის განმავლობაში დიდი პროგრესი გააკეთა და ის ველარ შეურიგდება იმ მდგომარეობას, რომელშიდაც ის წინეთ იმყოფებოდა. ინდოეთი ვეებერთელა ქვეყანაა, იქ 320 მილიონი მცხოვრებია, 6.000 მილით დაშორებულია ის ინგლისიდგან და ძნელია მისი მართვა-გამგეობა ლონდონიდგან, რაგინდ კარგი და გამოცდილი მრჩევლები არ ყავდეს ინგლისის მთავრობას თვით ინდოეთში. ინდოეთს სურს გაუთანასწორდეს უფლებრივად ბრიტანეთის ერთა თავისუფალ კავშირში შემავალ სხვა წევრებს. ინდოეთს უნდა ყავდეს თავისი ცენტრალური მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მხოლოთ ინდოეთის ცენტრალურ საკანონმდებლო დაწესებულების წინაშე. ინდოეთში შემოღებულ უნდა იქნეს დომინიონის სტატუტი, როგორც

ეკონომიური კრიზისი და პოლიტიკა [*]

14 სექტემბრის საყოველთაო არჩევნები გერმანიაში უეჭველია ჩაითვლება დღევანდელი დროის უდიდეს პოლიტიკურ მოვლენათ. აქ ნათლად გამოიხატა გერმანელ ფართე მასის ანტიდემოკრატიული სულისკვეთება, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ხალხის სუვერენიტეტის გარეშე მოძებნა. თუ წინეთ ასეთ მოვლენას ჩვენ ვხედავთ უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში, ეკონომიურად და პოლიტიკურად უფრო სუსტ ერებში, დღეს ეს ტალღა ედება დიდათ განვითარებულ და კულტურულ გერმანიას და მით ის ხთება საყოველთაო, საევროპიო გარემოებათ.

მაშასადამე გერმანიის უკანასკნელი პოლიტიკური ორიენტაცია წარმოადგენს არა სპეციფიურ გერმანულ ამბავს, არა ადგილობრივი პირობებით გამოწვეულ გულის წყრომას, არამედ დღევანდელი დროის საერთო დამახასიათებელ პოლიტიკურ მიმდინარეობას. ეს არის ნიშანი ხალხის გულში წარმოებული ცვლილებისა, რომელთა მთელი რიგი რგოლებისა თავს იჩენს სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა სახით და ფორმით. ამ საყოველთაო მოვლენის ძირითადი მიზეზი ასეთივე საყოველთაო ხასიათისაა. ეს მიზეზია მსოფლიოს ეკონომიური კრიზისი, რაიცა სხვადასხვა წონით და სიმძიმით აწვება სხვადასხვა ერთ და მათში იწვევს ახალ ახალ იდეურ დაჯგუფებას.

აქ საყურადღებოა ერთი გარემოება. მაშინ როდესაც წინეთ, თვითეული ეკონომიური კრიზისი აძლიერებდა დემოკრატიულ მოძრაობას, სცემდა პრესტიჟს ძალმომრეობის მოციქულებისას, დღეს კი, პირიქით, იგივე კრიზისი იწვევს დიამეტრალურად წინააღმდეგ შედეგებს—ასუსტებს დემოკრატიას, აძლიერებს ძალმომრეობის მიმდინარეობას.

წინეთ გამოღვიძებული ხალხი ეძებდა თავის ხსნას მცირე რიცხვის ბატონობის მოსპობაში და უმრავლესობის სუვერენობის დაწესებაში. დღეს ეს გზა სავსებით შებრუნებულია, ძირს ხალხის სუვერენიტეტი, გაუმარჯოს მცირე რიცხვის სუვერენიტეტს—აი ამ შემობრუნების ამოძახილი.

რატომ, რა მოხდა?

მოხდა ერთი დიდი გარემოება; დღევანდელი კაპიტალისტური ეკონომიკა აღარ გავს წინანდელ კაპიტალისტურ ეკონომიკას და მაშასადამე თანამედროვე ეკონომიური კრიზისი სავსებით განსხვავდება ომის წინა დროის კრიზისებისაგან.

ძველი კაპიტალიზმი სავსებით ემყარებოდა თავისუფალ კონკურენციას. მისი საშვალებით ვითარდებოდა და ძლიერდებოდა საწარმოვო ძალები. მარქსის სიტყვით რომ ვთქვათ «ბურჟუაზიული საზოგადოება აეგო კონკურენციაზე». ამ ეკონომიურ საფუძველზე დაეყრდნო შესაფერი პოლიტიკური და იდეიური ურთიერთობა, რაიცა გამოიხატება ერთ ცნობილ სიტყვაში—ლიბერალიზმი ანუ **Laissez-faire, Laissez-passer.** ასეთ საწარმოვო პირობებში ეკონომიური კრიზისი არის შედეგი ამ საყოველთაო ბრმა ქიშპობის.

სულ სხვაა დღეს. მსოფლიო ომის მიერ განადგურებული სიმდიდრე, კაცობრიობის დამშევა საქონლის ნაკლებობით და საწარმოვო ძალების დანგრევით, საჭირო ხდის ახალ ღონისძიებათა გამონახვას ამ უფსკრულის ამოსავსებათ და საზოგადოების ნორმალურ ნივთიერ კალაპოტში ჩასაყენებლათ. იწყება საწარმოვო საშუალებათა გადაჯგუფება ორ მთავარ ხაზზე—ფინანსიურ და ტეხნიკურზე. ფინანსიურ სფეროში ხდება კაპიტალის კონცენტრაცია, დგება უზარმაზარი ტრესტები თვითეული დარგის და ეწყობა მათი ურთიერთშორის გადაბმა და ერთ დიდ ფინანსიურ ცენტრში თავის მოყრა. ჯერ კიდევ 1927 წ. გერმანიის მთელი სააქციონერო კაპიტალის 60 პროც. ე. ი. 18 მილიარდიდან 11 მილიარდი უკვე გაერთიანებული იყო. ამ ჟამათ ამ ცენტრის გარეშე მთელი კაპიტალის უმნიშვნელო ნაწილია დარჩენილი. ამერიკის მხოლოდ ორი ფირმა, როკფელერი და მორგანი, განაგებენ მთელი კაპიტალის 36 პროც. კაპიტალიზმის ძირითადი კანონი—კაპიტალიზმის კონცენტრაცია, გამოწვეული კონკურენციის მიერ, სუსტის მძლავრით დამარცხებით, დაწყებული ომის დიდი ხნის წინ, კაპიტალისტთა ახალი დარაზმვით ღებულობს თანამედროვე ხანაში საერთო, საკაცობრიო ხასიათს და თავდება ნაციონალური და ინტერნაციონალური ეკონომიური მონოპოლიების დაარსებით. როგორც პროლეტარიატმა დაიწყო ბრძოლა არსებობისათვის ერთმანეთთან კონკურენციით შრომის ბაზარზე და გაათავა ამ ქიშპობის მოსპობით და სოლიდარობის დაწესებით, ისე კაპიტალისტებმა დაიწყეს ურთიერთშორის კონკურენციით და დღეს მას ათავებენ ეკონომიური სოლიდარობით და ერთი ეკონომიური ფრონტის შექმნით. ის 20 მილიონერი, რომელსაც დღეს როკფელერი აერთებს, ძველებურათ კონკურენციაზე მიშვებული. ნახევარი უეჭველია დაიღუპებოდა, მაშინ როდესაც შეერთებულნი მდიდრდებიან და ძლიერდებიან.

ამ უზარმაზარ ფინანსიურ მობილიზაციას ემატება ტეხნიკური მობილიზაცია-რაციონალიზაცია, მექანიზაცია და სხ. შედეგია საწარმოვო ძალების საზღაპრო გაზრდა. 1914 წელს მთელ ქვეყანაზე ითვლებოდა 129.237,000 ქსოვის ტარი, დღეს კი ითვლება 163.365.000. ე. ი. მათი რიცხვი გაიზარდა 26 პროც. კაპიტალიზმი გადადის გაპლანულ წარმოებაზე, გაზომილ და გამოანგარიშებულ საქმიანობაზე. იბადება ფასების ახალი პოლიტიკა. წინეთ ფასები წესდებოდა ასე ვთქვათ თავისთავად, ბაზარზე კონკურენციის საშუალებით. იაფი საქონელი ამარცხებდა ძვირს და თავის ფას აწესებდა ბაზრის ფასათ. დღეს კი ფასები დგება არა საქვეყნოთ, ბაზარზე, არამედ სამრეწველო დაწესებულებათა კაბინეტებში, თანახმად დირექციის ანგარიშებისა და პატრონთა მადისა. ტრესტი თვითონ უკარნახებს ბაზარს თავის ფასებს. მომხმარებელი იძულებულია ან მას დაეთანხმოს ან სავსებით უარი სთქვას საქონელზე, სხვა გამოსავალი მას არ აქვს. შეკავშირებულ მონოპოლიურ წარმოების პირისპირ დგას შეუკავშირებელი, გაბნეული მომხმარებელი. მომხმარებელთა შეკავშირება, პლანით წარმოების პლანით განაწილება კაპიტალისტურ ნიადაგზე სრულიად შეუძლებელია, ვინაიდან ამ შემთხვევაში მისი პირველი მსხვერპლი იქნებოდა თვით ტრესტი და კაპიტალისტური მონოპოლიები. აქ წარმოების მოკარნახე, საქონლის რაოდენობის და თვისების გამკარგულებელი იქნება არა მრეწველი, არამედ მომხმარებელი, მუშტარი და მით მთელი ბურჟუაზიული საწარმოვო სისტემა დაინგრეოდა. მიუხედავათ მომხმარებელთა ამ შეუკავშირებლობისა და განმარტოვებისა, ის მაინც იბრძვის, თავს იცავს სტიქიურად, მოულოდნელი და განუზომელი საშუალებებით. აი ამ ბრძოლის შედეგია დღევანდელი საერთო ეკონომიური კრიზისი. საწარმოვო ძალები აჯანყდენ საწარმოვო ფორმის წინააღმდეგ, პლანით წარმოების და უთავბოლოთ განაწილების შორის დაირღვა კონტაქტი, ნორმალური დამოკიდებულება და აქედან მივიღეთ ერთი მხრით მრეწველობის დაძაბუნება, მეორე მხრით მომხმარებელთა სიღატაკე.

ეს ეკონომიური კრიზისი სხვადასხვა ქვეყანაში იხატება სხვადასხვა ნაირად. ევროპაში მისგან რამდენიმეთ თავისუფალია მხოლოდ ორი ქვეყანა: საფრანგეთი და ირლანდია. მისი მთავარი ნიშანია უმუშევრობა სამრეწველო ერებში, ფასების დაცემა სამეურნეო ნაწარმოებზე აგრარულ ქვეყნებში. გერმანიის ეკონომიური საბჭოს ანგარიშით უმუშევართა საერთო რიცხვი ავიდა 5 მილიონიდან 11 მილიონამდე: გერმანიაში 2,8 მილიონი, ინგლისში 2,1 და სხ. იმავე დაწესებულების ვარაუდით წლის გასულს გერმანიაში უმუშევართა რიცხვი ავა 3 მილიონ ნახევრამდე [*]). მიუხედავათ ასეთი კატასტროფიული მდგომარეობისა მონოპოლიათა ფასები არ განიცდის კატასტროფას. იმავე საბჭოს გამოთვლით თავისუფალი ფასები, ე. ი. ფასები კონკურენციის საშუალებით დაწესებული, დაეცა 30 პროც., ხოლო მაგარი ფასები ე. ი. ტრესტების მიერ დაწესებული, შემცირდა მხოლოდ 2 პროც.. თავისუფალი ვაჭრობა ცდილობს ბაზარს შეეწყოს, ხოლო მონოპოლიური კი იბრძვის ბაზრის დასამორჩილებლათ, მთელი საზოგადოების თავის საწველ ფურად გადასაქცევათ.

ამ ნაირათ, კრიზისის ერთი მიზეზია მონოპოლიური მრეწველობის გაბატონება მომხმარებელზე, ტრესტების თარეში მსოფლიო ბაზარზე. მაგრამ არის მეორე მიზეზიც, რაიცა ამწვავებს ამ კრიზისს სამრეწველო ქვეყნებში. ეს არის დასავლეთის სამრეწველო მონოპოლიის დარღვევა და აგრარული ქვეყნების თანდათანი ემანსიპაცია მისი სამრეწველო გეგემონიისაგან.

როგორც ზემოთ ვთქვით, ქსოვის ტართა რიცხვი გაიზარდა საერთოთ 26 პროცენტით. მაგრამ თუ შევადარებთ ევროპას აზიასთან ამ სფეროში მივიღებთ შემდეგ ზრდას: ევროპაში ის უდრის 13 პროც. იაპონიაში 125 პროც. ინდოეთში 65 პროც.; ასეთივე ტემპით იზრდება ის ბრაზილიაში და შორეულ აღმოსავლეთში. შედეგია აზიაში სამრეწველო საქონლის გატანის შემცირება.

ლანკაშირის ბამბეულის გატანის შემცირებამ ინგლისის ინდოეთში გამოიწვია უმუშევრობის გაზრდა 12 პროც-დან 1929 წ. 24 პროც-მდე 1930 წ. გერმანიას, რომელიც წინეთ იაპონიის ბაზარზე თითქმის ბატონობდა, ახლა თვით იაპონია აძევებს არა მარტო თავის ქვეყნიდან, არამედ მოცილეობას უწევს ჩინეთში და ინდოეთში.

აგრარული ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია იწვევს ევროპის მეტად საშიშარ სავაჭრო დეფიციტს. ამ ჟამად ეს დეფიციტი უდრის წლიურად 150 მილიარდ ფრანკს. სამრეწველო ქვეყნებიდან აქ-

---

[*] ეს წერილი დაიბეჭდა ბელგიის სოც. ჟურნალში «L' Avenir Social», ოქტომბრის ნომერში.

[*] ამ წერილის დაწერის შემდეგ გავიდა სამი თვე და ამ ხნის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი ყოველგან დიდათ გაიზარდა. გერმანიაში ის ამჟამათ აღწევს ოთხ მილიონს.

ა ვ ტ.

ის არსებობს დღეს, მაგალითად, კანადაში, ავსტრალიაში, ახალზელანდიაში და სხვ. აცხადებენ ინდოელები ლონდონის კონფერენციაზე.

ინგლისელებს ხშირათ ინდოეთის თვითმართველობის საწინააღმდეგოთ ის მოსაზრება მოყავდათ, რომ ინდოეთი მეტათ დიდი ქვეყანაა, დასახლებული უთვალავ სხვადასხვა ეროვნებებით და ამ უკანასკნელთ სულ სხვადასხვა სარწმუნოებები აქვთ. გარდა «ბრიტანეთის ინდოეთისა» არსებობს აგრეთვე ინდოეთის ცალკე სახელმწიფონი, რომელთა რიცხვი დაახლოვებით 650 უდრის და რომელთაც მაჰარაჯები განაგებენ. ამ მაჰარაჯებს კერძო ხელშეკრულება აქვთ ინგლისის მეფესთან და ისინი სრულიათ დამოუკიდებელნი არიან ბრიტანეთის ინდოეთისაგან. ძნელი წარმოსადგენია, რომ მაჰარაჯებმა მოინდომონ რაიმე კავშირი იქონიონ ბრიტანეთის ინდოეთთან და მით ინდოეთის გაერთიანებას ხელი შეუწყონ. ინდოეთის, როგორც ერთი მთელის, თვითმართველობაზე ლაპარაკი უბრალო ოცნება არისო, გაიძახოდენ წინეთ ინდოეთის თავისუფლების მოწინააღმდეგენი.

მაჰარაჯა ბიკანერი კი ინდოელ პრინცთა და მაჰარაჯების სახელით აცხადებდა კონფერენციაზე, რომ ისინი პირველყოვლისა ინდოელები არიან და მათ უაღრესათ აინტერესებს ინდოეთის, როგორც მთლიანი ერთეულის, ბედი. ყოველივე ის, რაც ხელს უწყობს ინდოეთის კეთილდღეობას და პროგრესს, ხელს უწყობს იმავე დროს ჩვენს პირად კეთილდღეობას და ბედნიერებასაც. ყოველივე ის კი, რაც ართულებს ინდოეთის საქმეებს და ხელს უშლის მის ზრდას და განვითარებას, არის იმავე დროს უაღრესათ საზიანო და მავნებელი პირადათ ჩვენთვისაც. ბრიტანეთის ინდოეთი და ინდოელი სახელმწიფონი უნდა შეადგენდენ ერთ მთლიან ინდოეთს, უნდა დაარსდეს ერთი მთლიანი ინდოეთის ფედერაცია. ჩვენ ინდოელები ერთმანეთ შორის მოვრიგდებით, მხოლოთ დღეს აუცილებლივ საჭიროა, რომ ინდოეთს მიენიჭოს დომინიონის სტატუტიო, ამბობდა ეს მეტათ ცნობილი და გავლენიანი მაჰარაჯა.

ინდოელ ტრედუნიონების წარმომადგენელი—ჯოში ინდოეთისათვის დომინიონის სტატუტს და სრულ პასუხისმგებელი მთავრობის შემოღებას მოითხოვდა. მუშათა კლასისათვის მისი სამშობლოს თავისუფლება კიდევ უფრო აუცილებელია ვიდრე სხვებისთვისო. მე კარგათ ვიცი, ამბობდა ჯოში, რომ დომინიონის სტატუტის შემოღებით ინდოეთის მუშებს ამ ქვეყნათ ზეციური ბედნიერება არ მოევლინება, მაგრამ მათ ექნება საშუალება უფრო ადვილათ აწარმოვონ ბრძოლა, ვიდრე ეს შესაძლებელია დღეს, როცა განაგებს მთავრობა, რომელიც სინამდვილეში არ ემორჩილება არც ინგლისის პარლამენტს და არც ინდოეთის საკანონმდებლო დაწესებულებას. ბრძოლა ჩვენთვის იმითაც გაადვილდება, რომ ევროპიელ კაპიტალისტთა დღევანდელი დიდი გავლენა ინდოეთში ალბათ ერთნაირათ შეიზღუდებაო. დაბოლოს ჯოში იმედს გამოსთქვამდა, რომ თვითმართველ ინდოეთის კონსტიტუცია ისეთნაირათ იქნება შედგენილი, რომ იქ მუშების უფლებებიც დაცული იქნება და მას საფუძვლათ საყოველთაო არჩევნების პრინციპი დაედებაო.

როგორც ვხედავთ, ინდოელ დელეგატთა შორის კონფერენციაზე არ იყო არავითარი განსხვავება დომინიონის სტატუტის შესახებ და ყველა ერთსულოვნათ დაუყონებლივ მის შემოღებას მოითხოვდა.

ნაკლები თანხმობა სუფევდა ინგლისის დელეგატთა შორის. ზოგი მათგანი, როგორც მაგალითად კონსერვატორების და ლიბერალების წარმომადგენელნი, თუმცა წინააღმდეგნი იყვნენ ინდოეთში დომინიონის სტატუტის შემოღების, მაგრამ ეხლა ისინი მაინც უფრო შორს მიდიოდენ და უფრო ფართე რეფორმების მომხრენი იყვნენ, ვიდრე ამ რამოდენიმე თვის წინეთ, როცა მათ საიმონის კომისიის მიერ ნაჩვენები ზომები სავსებით აკმაყოფილებდათ. მუშათა პარტიის დელეგატები ალბათ თანახმანი იქნებოდენ კიდევ უფრო შორს წასულიყვნენ და ეგებ მათ სრული დომინიონის სტატუტიც კი მიეღოთ, რომ დღევანდელი მუშათა მთავრობა უმცირესობის მთავრობა არ იყოს და მას არ ეშინოდეს ოპოზიციაში მყოფ კონსერვატორების და ლიბერალების მიერ უნდობლობის გამოცხადების.

დაბოლოს კონფერენციაზე მოხდა შეთანხმება. ამ შეთანხმების ძალით ინდოეთის ყველა სახელმწიფონი ერთიანდებიან ფედერატიულათ. დაარსებულ იქნება ორი პალატისაგან შემდგარი პარლამენტი. მეფის მოადგილე მოიწვევს ერთ რომელიმე პირს, რომელიც შეადგენს სამინისტროს, ეს უკანასკნელი კი იქნება პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე. საგარეო და სამხედრო საქმეები ვერ გახდება ინდოეთის ფედერალურ პარლამენტის ამა თუ იმ გადაწყვეტილების საგნათ. ისინი მეფის მოადგილის პრეროგატივას შეადგენენ. რაც შეეხება ფინანსიურ საკითხებს, ნაწილობრივათ ესეც მეფის მოადგილის კომპეტენციას ეკუთვნის. დაარსებულ იქნება სამხედრო სკოლა ინდოელ ოფიცრების მოსამზადებლათ. გათვალისწინებულია ერთნაირი გარდამავალი ხანა, რომლის განმავლობაში ახალი კონსტიტუცია თანდათანობით უნდა განხორციელდეს. დარჩა ერთი დიდი საკითხი, რომელიც ინდუსების და მუსულმანების ერთმანეთ შორის დამოკიდებულებას შეეხება. ამ კითხვის შესახებ კონფერენციაზე შეთანხმება ვერ მოხდა და ის ჯერ კიდევ მოსაგვარებელია.

ის, რაც ლონდონის ანგლო-ინდოელების კონფერენციამ მიიღო, რასაკვირველია, დომინიონის სტატუტი არ არის და ამ უკანასკნელიდგან დიდათ განსხვავდება. კონფერენციის გადაწყვეტილება ისეთ დიდ და მთავარ საკითხებს, როგორც საგარეო, სამხედრო და საფინანსო საკითხებია, მეფის მოადგილის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ლონდონის მთავრობის ხელში სტოვებს. დომინიონის სტატუტით სარგებლობა კი ბრიტანეთის იმპერიაში ნიშნავს იმას, რომ ეს თუ ის დომინიონი დამოუკიდებელია ინგლისისაგან არამც თუ სამხედრო და საფინანსო კითხვებში, არამედ ზოგადათ საშინაო და საგარეო საქმეებში. დომინიონებს ინგლისთან მხოლოდ და მხოლოდ მეფის სახელი აერთებს.

ყოველ შემთხვევაში ფაქტია ის, რომ ლონდონის კონფერენციის დადგენილებანი თავისი შინაარსით დიდი ნაბიჯია წინ იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც დღეს ინდოეთში არსებობს. ამ დადგენილების ძალით ინდოეთს ეძლევა ფართე უფლებები თვით განაგოს თავისი შინაური საქმეები.

ახლა მთავარი საკითხია, თუ როგორ შეხვდებიან კონფერენციის დადგენილებებს ინგლისში და ინდოეთში და როგორ გაატარებენ ცხოვრებაში.

თემთა პალატაში უკვე იყო მსჯელობა ლონდონის კონფერენციის მუშაობის შესახებ და ეს მუშაობა საერთოდ ყველა პოლიტიკურ პარტიების მიერ დადასტურებულ და მოწონებულ იქნა.

ძნელია ეხლავე იმის თქმა, თუ როგორ შეხვდება თვით ინდოეთი ლონდონის კონფერენციის დადგენილებას და მიიღებს მათ თუ არა.

ლონდონის კონფერენციის შემდეგ განდი, ნეჰრუ, პატელი და სხვა ლიდერები განთავისუფლებულ იქნენ ციხეებიდგან ინგლისის მთავრობის მიერ, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ შეექნათ შესაფერი ატმოსფერა, რაც ხელს შეუწყობდა მათთან მოლაპარაკებას და მორიგებას.

ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ლიდერები კი ყოველგვარ მოლაპარაკების წინასწარ პირობათ აყენებენ: 1) საყოველთაო ამნისტიის გამოცხადებას, 2) მშვიდობაანი ბოიკოტის ნებართვას და 3) მოლაპარაკების დროს განმავლობაში მარილზე მონოპოლიის კანონის შეჩერებას.

განდის და მის თანამოაზროვნეთ ლონდონის კონფერენციის მიერ ნაჩვენები რეფორმები ამ დროებით არ აკმაყოფილებს და ისინი ინდოეთის თვითმართველობის პრობლემას კვლავ მთელი მისი სიგრძე სიგანით სვამენ.

თუ რა შედეგებს გამოიღებს ლონდონიდგან დაბრუნებულ ინდოელ დელეგატების მოლაპარაკება განდისთან და მის მეგობრებთან ამას მომავალი დაგვანახვებს.

ბ. ბ.

◆

ეკონომიური კრიზისი და უმუშევრობა

ეკონომიურ კრიზისის და უმუშევრობის საკითხის შესასწავლად დანიშნულ იქნა შერეული კომისია, შემდგარი სოციალისტური ინტერნაციონალის და პროფესიულ კავშირების საერთაშორისო ფედერაციის (ამსტერდამის) წარმომადგენლებისაგან. კომისიაში შედიოდენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი ეკონომისტები. კომისიამ გაარჩია მრავალი მისთვის წარდგენილი მოხსენება ამ საკითხზე და გამოაქვეყნა თავისი დასკვნები, რომლისგან მოგვყავს მთავარი დებულებები:

«ეკონომიური კრიზისის ხასიათი. ომის დროიდან მსოფლიო საწარმოვო საშუალებანი მეტად განვითარდა როგორც ინდუსტრიაში აგრეთვე სასოფლო მეურნეობაში, მაგრამ ნაწარმოებს კი ვერ ასაღებენ. მოგების დაგროვებამ შესაძლებლად გახადა რამდენიმე წლის განმავლობაში საწარმოვო საშვალებების დაჩქარებული ნაბიჯით განვითარება და გაფართოება, ხოლო ხელფასის ზრდა ამავე ხნის განმავლობაში არ დარჩა საკმაო რათა იმავ ზომით აეწია ნაწარმოების მოხმარება მასების მიერ. ეს დისპროპორცია წარმოებასა და მოხმარების შორის—კრიზისის ძირითადი ელემენტი—წარმოსდგება უწინარეს ყოვლისა იმ გარემოებისაგან, რომ მოგება, რომელიც მომეტებულად საწარმოვო საშუალებათა გავრცელებას და განვითარებას ხმარდება, იზრდება უფრო ჩქარა ვიდრე ხელფასი, რომელიც თითქმის სავსებით მოხმარებას უნდება. ხელფასის შემცირება ამ დისპროპორციას არამც თუ არ ამცირებს, არამედ აძლიერებს. თვითეულ ქვეყნის კაპიტალისტებმა სხვა ქვეყნების კაპიტალისტებთან კონკურენციაში წელის გასამაგრებლად რომ ხელფასის დაწევას შეეცადონ, ეს მათი ცდა გამოიწვევს მასების ყიდვითი შეძლების დაქვეითებას მთელს მსოფლიოში, ე. ი. გართულებას საერთაშორისო კრიზისისას, რომელიც მდგომარეობს მომხმარებლობის ნაკლებობაში. ამიტომ კომისიას მიაჩნია მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანათ მიმდინარე ხანაში, რომ ის მთელი თავისი ენერგიით და ყველა ქვეყნებში წინააღუდგეს ხელფასის შემცირებას.»

«უმუშევრობა და სამუშაო დრო. რამოდენიმე წლის განმავლობაში რაციონალიზაციამ საოცრად ასწია შრომის ნაყოფიერება. მაგრამ ტეხნიკური ევოლიუციის და შრომის ინტენსიფიკაციის გამო ერთ დარგში მუშაობისაგან განთავისუფლებულ მუშა ხელს ვერ იყენებს წარმოების სხვა დარგები... აუცილებლივ საჭიროა მაშასადამე სამუშაო დროს სიგძე შეგუებულ იქნას შრომის უზომოთ აწეულ ნაყოფიერებასთან. მსოფლიოში მძვინვარე უმუშევრობის წინაშე კომისიას დროულად და აუცილებლათ მიაჩნიია დაწყებულ იქნას საერთაშორისო ბრძოლა ხუთდღიანი სამუშაო კვირისათვის (და 40 საათისათვის). კომისია ითხოვს აგრეთვე ჯამაგირიან შვებულების დაწესებას იქ სადაც ასეთი არ არსებობს, სავალდებულო სასკოლო ასაკის ამაღლებას, შრომის ბაზრის მოწყობას, ფართო კრედიტებს საჯარო სამუშაობების მოსაწყობათ.

ზომები უმუშევართა სასარგებლოთ. კომისივს საჭიროთ მიაჩნია დაარსდეს ყველა ქვეყნებში ცენტრალური ორგანო, რომელიც წინასწარ დამუშავებული პროგრამის თანახმად ეცდება უმუშევრობის ხანას შეუფარდოს საჯარო დაკვეთები და სამუშევრები. «ეს მეთოდი მუშა-ხელის სტაბილიზაციისა მით უფრო ნაყოფიერი იქნება, რაც უფრო დიდია საჯარო ხელისუფლების მონაწილეობა საერთო ეკონომიკაში».

კომისია მოითხოვს უმუშევართათვის დახმარებას უმუშევრობის ხანის განმავლობაში და მოუწოდებს მუშათა კლასს დაიცვას უმუშევრობისაგან დაზღვევა. «ნაციონალურ და ინტერნაციონალურ კარტელების და მონოპოლიების გავრცელება უდაოთ ხელს უწყობს კრიზისის გაფართოებას მაღალი ფასების შენახვით და «დემპინგის» მოწყობით, რაიცა დეზორგანიზაციას ახდენს მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ კომისია მოუწოდებს მუშათა პარტიებს მოითხოვონ ყველა მონოპოლიებზე კონტროლის დაწესება და ამ მონოპოლიების მიერ ფასების დაწესების კონტროლი პროფესიონალურ ორგანიზაციების და მომხმარებელთა კოოპერატივების მონაწილეობით, საერთაშორისო კარტელებზეც უნდა დაწესებულ იქნას კონტროლი საერთაშორისო ეკონომიური ორგაროს საშვალებით, რომელიც ერთა ლიგამ უნდა შექნას».

მსოფლიო ბაზრის დეზორგანიზაცია. ომის შემდეგ გაძლიერებულმა პროტექციონიზმმა ხელი შეუწყო მსოფლიო ბაზრის დეზორგანიზაციას. კომისია მოუწოდებს მუშათა მოძრაობას მხარი დაუჭიროს თავიანთ მთავრობის წინაშე იმ საბაჟო ზავს, რომლის გატარება სახეში აქვს ინგლისის მუშათა მთავრობას და რომელსაც უნდა მოჰყვეს ბაჟების დაწევა საერთაშორისო მასშტაბით.

დეფლაციის პოლიტიკამ სხვადასხვა ქვეყნებში და აგრეთვე ოქროს უსწორო განაწილებამ მსოფლიოში ხელი შეუწყო კრიზისს. კომისია მოითხოვს: მთავრობებმა გაუწიონ მომქმედი კონტროლი საემისიო ბანკებს, მუშათა ორგანიზაციების დელეგატების მონაწილეობას ამ ბანკების მართვაში, ოქროს უფრო თანასწორათ განაწილებას და სხვ.

ომის ვალები და რეპარაციები. კომისია ფიქრობს რომ გერმანიაზე დაკისრებული ვეებერთელა გადასახადები ომის ვალების და რეპარაციების სახით ხელს უწყობენ აგრეთვე საერთაშორისო ეკონომიკის არევ-დარევას. მათი გადახდა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ საქონლის სახით, რასაც ხელს უშლის კრედიტორ ქვეყნებში გაბატონებული პროტექციონიზმი. ეს პირობები ხელს უწყობენ «დემპინგის» ტენდენციის გაძლიერებას. ამ ვალების შემცირება, თუ სრულიად გაუქმება არა, უეჭველად შეასუსტებდა მსოფლიო ეკონომიკის არევ-დარევას. მაგრამ შეერთებულ შტატების საზოგადოებრივი აზრი, ჰფიქრობს კომისია, დათანხმდება ვალების შემცირებას მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც ევროპიელი ქვეყნები განახორციელებენ საერთაშორისო განიარაღებას. მეორე მხრით, არსებული პოლიტიკური საშიშროებანი ართულებენ ეკონომიურ კრიზისს და ეკონომიური გაჯანსაღება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მშვიდბიანობის განმტკიცების პირობებში. ამ თვალსაზრისით კომისიას სასწრაფო აუცილებლად მიაჩნია საერთაშორისო განიარაღება. ყველა ქვეყნების თავდასხმისაგან თანაბარ უზუნველყოფის მიღწევა შესაძლებელია არა განიარაღებულ ქვეყნების ხელახლა შეიარაღების გზით, არამედ დანარჩენ ქვეყნებში შეიარაღების საგრძნობლად შემცირებით.

ტიური საგარეო სავაჭრო ბალანსი აქვს მხოლოდ ჩეხოსლოვაკიას და შეერთებულ შტატებს. ყველა დანარჩენში პასიური ბალანსია, მაშინ როდესაც თითქმის ყველა აგრარულ ქვეყნებში აქტიური ბალანსია, გარდა ჩინეთისა, რაიცა ალბათ აიხსნება გაუთავებელი სამოქალაქო ომით. მაგ. საქონლის გატანა მეტია შემოტანაზე კანადაში 115 პროც., არგენტინაში 113, ინდოეთში 117, ნიდერლანდიის ინდოეთში 164, ბოლივიაში 192 პროც. მექსიკაში 165 და სხვ., ე. ი. ყველა ეს ქვეყნები გაცილებით მეტს ყიდიან გარეთ, ვინემ ყიდულობენ. ევროპა კი იძულებულია თავის წაფორხილებული მრეწველობის შესარჩენათ აუარებელი ხარკი აძლიოს არაევროპიელთ. ბრიანის ყიჟინა: ევროპა განსაცდელშია—ხატავს სრულ სინამდვილეს; დასავლეთს ეკარგვის ეკონომიური სუპრემატია.

სამრეწველო კრიზისის შედეგია სამეურნეო კრიზისი. რაკი უმუშევართა რიცხვი მატულობს, საერთო სიღარიბე ქალაქებში ძლიერდება, აშკარაა სამეურნეო ნაწარმოებთა ბაზარი ეცემა და მეურნე იძულებულია ვალში ჩავარდეს, მეურნეობა შეამციროს და დაგროვილი ნაწარმოები ან შეინახოს ან დაბალ ფასებში გაასაღოს. სამეურნეო კრიზისი კი თავის მხრით აძლიერებს სამრეწველო კრიზისს, მეურნეთა ნივთიერი მდგომარეობის დაცემით და მოთხოვნილებათა შემცირებით. განსაკუთრებით კრიზის განიცდის სახორბლო მეურნეობა და მეღვინეობა. პურის მთესავი მიეჩვია ომის დროს დიდ ფასებს თავისი ნაწარმოებისათვის, ამიტომ ეს დარგი მეურნეობისა მეტად გაიზარდა, გაფართოვდა და მივიდი იქამდე, რომ ევროპა სავსებით კმაყოფილდება ამ მხრით რუსეთის პურის შეუძენელათ, ამ მისი მთავარი მარჩენელის ომამდე. აქაც განმეორდა სამრეწველო მოვლენა—საქონლის მიწოდება მოთხოვნილებას აჭარბებს. ამ მსოფლიო სამეურნეო კრიზისში მეტათ დაზარალდა ევროპის მეურნეობა, იმავე აგრარული და ინდუსტრიალური ქვეყნების ინტერესთა ანტაგონიზმით. ოკეანეს იქით მდებარე სახორბლო ქვეყნები ამარცხებენ ევროპის ხორბლეულობას, ანგრევენ მის მეურნეობას და მით იძულებულ ყოფენ სადამოქნო სისტემით ბრძოლის მიღებას. ამავე ხაზზე ვითარდება კრიზისი მეღვინეობაში, ღვინის ზედმეტი დამზადება, მოხმარების შემცირება. მეღვინეობამ 1900 წლიდან მოიმატა ნახევარი მილიონი ჰექტირი ახალი ვენახით. განსაკუთრებით დიდი მომატებაა არაევროპიელი ქვეყნების მეღვინეობაში, აფრიკაში, ამერიკაში და ავსტრალიაში. საფრანგეთის სავაჭრო მინისტრი თავის ოფიციალურ კომუნიკეში ამ საგანზე აღიარებს მეღვინეობის საერთაშორისო კრიზის და ითხოვს საერთაშორისო ზომების მიღებას. განსაკუთრებით დაზარალდა საფრანგეთი, სადაც ბაზრისათვის 50 მილიონ ჰექტოლიტრ ღვინის მაგიერ 80 მილიონი გამოჩნდა.

როგორი გამოძახილი აქვს ამ კრიზის პოლიტიკაში, ხალხის აზროვნებაში, მის იდეიურ და საზოგადოებრივ ურთიერთობაში?

პირველ ყოვლისა ხალხი ერთს ხედავს აშკარათ—მიუხედავათ ეკონომიური კრიზისისა, ე. ი. ზედმეტი საქონლის არსებობისა, მისთვის ცხოვრება არ იაფდება, საქონლის ფასები არ იწევა, პირიქით ის კიდევაც მატულობს და ძვირდება. მწარმოებელი იძულებულია თავისი საქონელი იაფათ გაყიდოს, ხოლო მომხმარებელი კი მას მაინც ძვირათ ყიდულობს, ორივე მხარე თანასწორათ იყვლიფება. თუ ავიღებთ საფრანგეთის სავაჭრო სტატისტიკას დავინახავთ, რომ 1926 წლიდან 1930 წლის მაისამდე საქონელის ბითუმ ფასებმა დაიწია 717-დან 553-მდე, ხოლო ამავე დროს ფასებმა ცალობით გაყიდულისამ აიწია 553-დან 590-მდე, ე. ი. მწარმოებელისათვის ფასები დაეცა 26 პროც-ით, ხოლო მომხმარებელისათვის მოიმატა 7 პროც-ით! ბურჟუაზიული ეკონომიკის ამაზე უფრო თვალსაჩინო გაკოტრება შეუძლებელია. ამ ეკონომიკის სანკციაა საფრანგეთის სავაჭრო მინისტრის 31 ივლისის ბრძანება ხორბლის ვაჭრობის შესახებ, რამაც გამოიწვია სოც. დეპუტატის მაკს ჰიმანსის შეკითხვის შეტანა პალატაში. ამ შეკითხვიდან ირკვევა რომ ივლისიდან ვაჭრობის ბირჟაზე ხელოვნურათ გააჩერეს ხორბლის ფასები ნამდვილი ფასების დაბლა პარიზის ბაზრის კომისიონერთა შეთანხმებით. ცარცვავენ რა ასე გლეხს-მწარმოებელს, შემდეგ თვითონ აწევიან ბაზარს წინდაწინ მათ მიერვე დადგენილ ფასებში და ცარცვავენ მომხმარებელს. როცა ქვეყანა იწობა, ბირჟა, ანუ ფინანსიური ბურჟუაზია, ხელს ითბობს და მდიდრდება. ამ სფეროშიაც არსებობს კარტელი სპეკულიანტების, რომელიც ცდილობს დაიმორჩილოს სამეურნეო ნაწარმოების ბაზარი და მას უკარნახოს თავისი ფასები. სახელმწიფო იმყოფება კარტელების სრულ განკარგულებაში.

არსებული პოლიტიკური წყობილება აგებულია უკვე დრომოჭმულ ეკონომიურ საფუძველზე. რაკი ბურჟუაზიული საზოგადოების წინანდელი ეკონომიური პრინციპი—თავისუფალი კონკურენცია, შეიცვალა სამრეწველო და სავაჭრო მონოპოლიით, ცხადია მასზე აგებული პოლიტიკური დოქტრინა—ლიბერალიზმი—უნდა შეცვლილიყო. მეტი თავისუფლება, მეტი მოქმედება კერძო პირს, ნაკლები თავისუფლება, ნაკლები მოქმედება სახელმწიფოს, ეს თავისუფალი კონკურენციის ძირითადი პოლიტიკა დღეს სავსებით დამარცხებულია და მის ალაგას წამოყენებულია სახელმწიფოს ყოვლადშემძლებლობა. ანტიდემოკრატიული მოძრაობა დღეს თავისებურათ ხატავს ამ მიმდინარეობას. მაგრამ მას ხატავს ცალმხრივათ, გადაჭარბებულათ, აბსოლიუტურათ, როგორც ეს ყოველ ახალ მოძრაობას სჩვევია.

ეკონომიურ კრიზის ებრძვიან ამჟამათ ორნაირათ—ლიბერალური და ანტილიბერალური მეთოდით. კანადელი მეურნენი ერთდებიან და თავისი კერძო თაოსნობით და საშუალებებით პურის მთელ ექსპორტის 60 პროც. თავის კონტროლის ქვეშ აყენებენ. ასევე ავსტრალიაში და არგენტინაში. აქ სახელმწიფო არაფერ შუაშია. იუგოსლავიაში კი პირიქით, სახელმწიფო კიდებს ხელს ექსპორტის საქმეს, აარსებს სამიწადმოქმედო ბანკს, აძლევს კრედიტს და ამ გზით თავის კონტროლს ქვეშ აყენებს საგარეო ვაჭრობას. რაც უფრო ქვეყანა ანტიდემოკრატიული წყობილებისაა, მით უფრო პირდაპირ ერევა სახელმწიფო საზოგადოების ეკონომიურ ურთიერთობაში და პირიქით, რაც უფრო ის დემოკრატიულია, მით უფრო მისდევს ლიბერალურ დოქტრინას. ბრიუნინგის მთავრობამ გერმანიაში მხოლოდ რაიხსტაგის დათხოვის შემდეგ გამოსცა დეკრეტი ტრესტების წინააღმდეგ მიმართული, რითაც ის მათ აიძულებს თავისი ნაწარმოებს ფასების დაწევას. ამავე ზომას ითხოვდა დიდი ხანია სოციალდემოკრატია, მაგრამ მთავრობამ დემაგოგიური მოსაზრებით თუ რეიხსტაგში ამ დეკრეტის სასარგებლო უმრავლესობის უქონლობით სოციალისტების მოთხოვნილება ანტიდემოკრატიული გზით გაატარა. ანტიდემოკრატია დასახულია სოციალური რეფორმების საუკეთესო საშულებათ. ამ დებულებაში უეჭველია არის ერთი მართალი აზრი:—ბურჟუაზიულ დემოკრატიაში სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიურ ურთიერთობაში გაძნელებულია. გერმანიის უკანასკნელ არჩევნებში შუათანა პარტიების ასე საშინლათ დამარცხება, ბურჟუაზიული დემოკრატიის დაუძლურება და ორი დიდი მოპირდაპირე ბანაკის - სოციალდემოკრატიის და დიქტატურის მომხრეთა პირისპირ წადგომა ნიშნავს ხალხის მიერ ლიბერალური რეჟიმისათვის ზურგის შექცევას და სოციალური რადიკალიზმის აღიარებას. საბოლოოთ პირისპირ დგას ორი ძირითადი საამდროვო მიმდინარეობა—სოციალიზმი და ბოლშევიკურ-ფაშისტური ავანტიურიზმი. მათ შორის საერთოა ერთი—უარისყოფა ლიბერალური ეკონომიკის; მაგრამ პოლიტიკის სფეროში ისინი პირისპირ დგანან და სწორეთ ამ ნიადაგზეა მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ამ ბრძოლის დაბოლოვება სოციალიზმის სასარგებლოთ დამოკიდებულია უმთავრესათ სოციალისტთა სწორი პოლიტიკისაგან, თანამედროვე რთულ ურთიერთიბოს სწორათ გაგებისაგან და შესაფერი იარაღით შესაფერი პოზიციის დაჭერისაგან.

და აი აქ ჩვენს შორის ყველაფერი რიგზე არ არის.

მოწინააღმდეგენი ებრძვიან დემოკრატიზმს, მას სახვენ სინონიმათ პოლიტიკური ლიბერალიზმის და პარლამენტარიზმის. მათი აზრით, დემოკრატია უეჭველათ ნიშნავს ბურჟუაზიის ბატონობას, პარლამენტარიზმი—კაპიტალიზმს. მაშასადამე, ბრძოლა ბურჟუაზიასან ნიშნავს ბრძოლას დემოკრატიასან. და რამდენათ, სოც. დემ. იცავს დემოკრატიას, იმდენათ ის ბურჟუაზიის აგენტია. და თუ დემოკრატიზმი მართლა ნიშნავს პარლამენტარიზმს და ლიბერალიზმს—ისინი ბოლომდე მართალი რჩებიან. მაგრამ ნიშნავს კი?

ლიბერალიზმი და პარლამენტარიზმი მართლაც ბურჟუაზიის გამოგონებაა, ის ახალი დროის ღვიძლი შვილია; ის გამოიჭედა მონარქიასან საბრძოლველათ ამომავალი ბურჟუაზიის მიერ: დღეს კი ჩვენი ბრძოლის საგანი აღარ არის მონარქია, მისი ალაგი დაიჭირა ტირანიამ და მაშასადამე ბრძოლის საშუალებანიც უნდა გამოიცვალოს. ერთათ-ერთი საშუალებაა—დემოკრატიზმი, მაგრამ რომელი, ლიბერალურ-პარლამენტალური? რასაკვირელია არა.

დემოკრატიზმი ძველის ძველი მოვლენაა, ის აღორძინდა თავიდანვე, პირველი საზოგადოების დაწყებიდანვე, კლასების და წოდებათა აღორძინებამდე. ყველა საზოგადოება, რომელიც კი დაახლოვებით თანასწორი ადამიანებისაგან შედგებოდა, იმართებოდა დემოკრატიულათ.

ეს ხალხური დემოკრატიზმი ისეთი მძლავრია ყველა ერში, რომ თვით რუსის გლეხიც კი ვერ გადააჩვიეს მას ვერც მეფეებმა, ვერც ბოლშევიკებმა. დღესაც სოფელი იკრიბება ცალკე, საბჭოების გვერდით, და ყველა თავის ადგილობრივ საჭირბოროტო ეკონომიურ საკითხებს სწყვეტენ აქ, ამ ყრილობაზე, ხოლო საბჭოს უტოვებენ პოლიციურ ფუნქციებს. აი ამ დემოკრატიზმს დაუბრუნდა საბერძნეთი და რომი მრავალი რევოლიუციების საშუალებით; აღორძინდა კლასიკური დემოკრატია.

როგორც ხედავთ, არავითარი მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს დემოკრატიასა და ბურჟუაზიას შორის. დემოკრატია «გამოგონებაა» ხალხის, ლიბერალიზმი და პარლამენტარიზმი ბურჟუაზიის. მაგრამ მოხდა ერთი ამბავი: თანამედროვე დემოკრატია გაიქლინთა ლიბერალიზმით; მან მიიღო არა ხალხური,

«პოლიტიკური საშიშროებანი. კომისია აღიარებს, რომ ევროპიელი სახელმწიფოები ერთად საჭიროებენ, ისე როგორც თვითეული სახელმწიფო, საერთო მექანიზმს, რომელიც შესაძლებლად გახდის ევროპის კონსტიტუციის მშვიდობიანი გზით გადასინჯვას. მაგრამ კომისია აფრთხილებს საზოგადოებრივ აზრს იტალიის ფაშისტურ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს გააერთიანოს ერთი რიგი სახელმწიფოებისა ზავისათვის საშიშარ კავშირში და რომლის ლოზუნგია ხელშეკრულებათა გადასინჯვა. მიუთითებს რა ამ საფრთხეს, აგრეთვე იტალიის ეკონომიკის ღრმა არევდარევას და გერმანიაში 1930 წლის სექტემბერში მომხდარ არჩევნების მავნე ეკონომიურ შედეგებს, კომისია აცხადებს, რომ ფაშისტურ დიქტატურათა და ფაშისტურ ტენდენციების მოსპობა შეადგენს მიუცილებელ პირობას ევროპის პოლიტიკურ დაშოშმინებისა, ურომლისოდაც მსოფლიო ეკონომიკა ვერ განიკურნება.

კომისიის აზრით, არევ-დარევა ს.ს.რ. კავშირთან, ჩინეთთან და ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობაში შეადგენს აგრეთვე ერთ-ერთ მიზეზს მსოფლიო ეკონომიური კრიზისისას. კომისია ხელახლა მოითხოვს ს. ს. რ. კავშირთან ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობის დამყარებას და მასთან უფრო მჭიდრო ეკონომიურ თანამშრომლობას; ის მოითხოვს ენერგიულ მხარის დაჭერას ინდოეთისა, ჩინეთისა და კოლონიურ ქვეყნების მშრომელთათვის, რომლებიც ცდილობენ გააუმჯობესონ მათი არსებობის დუხჭირი პირობები; და ვინაიდან ეროვნული განთავისუფლება წინასწარი პირობაა ეკონომირი და სოციალური განვითარებისა, კომისია მოითხოვს აგრეთვე მხარის დაჭერას ამ ხალხების გამანთავისუფლებელ ბრძოლისათვის.

კომისია ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ უმუშევრობის საბოლოოთ მოსპობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ კაპიტალისტური სისტემის გაუქმებით და სოციალისტური საზოგადოების დაწესებით. ის მოუწოდებს ყველა პროფესიონალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს იბრძოლონ ენერგიულათ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის პროგრამის გასახორციელებლათ.»

◆

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა და პოლიტიკა

ინგლისის მუშათა პარტიის კონგრესი.

გასულ ოქტომბერის პირველ რიცხვებში ქალაქ ლაიდუდნოში, სუზან ლორენსის თავმჯდომარეობით გაიხსნა ინგლისის მუშათა პარტიის მე 30-თე წლიური კონგრესი. ინგლასის პარტიის ისტორიაში ეს პირველ ჯერ არის, რომ კონგრესს ქალი თავმჯდომარეობდეს. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ეს ქალი ოფიციალური პირია, ის მაკდონალდის მთავრობის წევრია და ჰიგიენის მინისტრის ამხანაგის ადგილი უჭირავს. ევროპის პარტიაში აქა-იქ გაკვირვებაც იყო გამოთქმული: როგორ ხდება რომ პარტიულ კონგრესს მინისტრი და ოფიციალური პირი თავმჯდომარეობსო. ამ მხრივ ინგლისში მართლაც სხვანაირი წესია, ვიდრე კონტინენტალური ქვეყნებში.

როცა 1929 წლის ივნისში მაკდონალდმა შეადგინა მთავრობა, იმ დროს პარტიას ჰერბერტ მორისონი თავმჯდომარეობდა, მის ამხანაგათ კი სუზან ლორენსი იყო. შემდეგ მორისონი და ლორენსი მთავრობის წევრები გახდენ, მაგრამ ამ მათი ოფიციალური მდომარეობის გამო მათ პარტიის თავმჯდომარეობისათვის თავი არ გაუნებებიათ. 1929 წ. ოქტომბერში მე 29 წლიურ კონგრესზე პარტიის თავჯდომარე მორისონი მისმა ამხანაგმა ს. ლორენსმა შესცვალა მექანიკურად, როგორც ჩვეულებრივათ ხდება წლიურ პარტიულ ყრილობაზე, და მინისტრი სუზან ლორენსიც ერთი წლის განმავლობაში პარტიას თავმჯდომარეობდა. ამავე დროს პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის წევრებათ ითვლებოდენ აგრეთვე მთავრობის ისეთი გავლენიანი პირები, როგორიც არიან მაკდონალდი, ჰენდერსონი, კლაინსი, ტომასი, ლანსბერი და სხვები. ინგლისში არსებობს პარტიის და მთავრობის ფუნქციათა სრული შეთვისება და ეს არ იწვევს არავითარ დავას არც მუშათა და არც რომელიმე სხვა პარტიაში.

მთავრობის მუშაობის შესახებ მოხსენება კონგრესს მაკდონალდმა გაუკეთა. მისი განცხადებით მუშათა მთავრობამ გააკეთა ყველაფერი, რის გაკეთებაც კი შეიძლებოდა დღევანდელ პირობებში. მუშათა პარტიას უსაყვედურებენ: დაპირებანი ბევრი იყო და მის მთავრობას კი ჯერ ყველაფერი ეს ვერ შეუსრულებიაო. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს, რომ ყველა ამ დაპირებებს ერთ ან ორ წელში შევასრულებდით. მაკდონალდი აღნუსხავს რა გააკეთა მთავრობამ შინ და გარეთ. ყველაზე ურთულესი და უძნელესი საკითხი უმუშევრობაა. უმუშევრობა დღეს არ არის იმავ ხასიათის, როგორც ერთი წლინახევრის წინ იყოო. ეხლა ის უაღრესათ საერთაშორისო მიზეზებით არის გამოწვეული და მისი მოგვარება უნდა ხთებოდეს არა მხოლოდ ნაციონალურ ჩარჩოებში, არამედ ინტერნაციონალური მაშტაბით. დიდი ცვლილება ხთება დღეს ეკონომიურ სფეროში არა მხოლდ ინგლისში, არამედ მთელ მსოფლიოში. მთელი კაცობრიობა იმყოფება დღეს ინდუსტრიალურ რევოლიუციის წინაშე. ხთება ახალი რამ, მსგავსა იმისა, რასაც ადგილი ჰქონდა მე 18 საუკუნის დამლევს და მეცხრამეტეს დასაწყისში. დღევანდელ მდგომარეობას ისეთი ძველი ზომები, როგორც პროტექციონიზმი და ბაჟების დაწესებაა, არ ეგუება და ვერ უშველის. შექმნილ კრიზისიდან თავის დასაღწევათ აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობის და ორგანიზაციის იდეის გამარჯვებაო.

მაკდონალდის მთავრობას სასტიკად აკრიტიკებდა დამოუკიდებელ პარტიის წარმომადგენელი მაქსტონი, განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო ის მაკდონალდის პოლიტიკით უმუშევრობის საკითხში. უსაყვედურებდა გაუბედაობას და სოციალური ზომებისათვის გვერდის ახვევას. თქვენ ვერ მოახერხეთ საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობის გაფართოება, მისთვის სავაჭრო კრედიტების მიცემა, ამ ორ სახელმწიფოთა შორის ნორმალური კავშირის დამყარება და მით ინგლისში უმუშევრობის სიმწვავის შემსუბუქებაო. მაქსტონის რეზოლიუციამ მხოლოდ 334.000 ხმა მიიღო, საწინააღმდეგომ კი 1,803.000.

კონგრესი გაცილებით უფრო მეტი თანაგრძნობით შეხვდა მოზლეის, ვიდრე მაქსტონს. მოზლეი მაკდონალდის მთავრობის წევრი იყო და ამ რამდენიმე ხნის წინ გადადგა მთავრობიდან უმუშევრობის საკითხში მასთან უთანხმოების გამო. მრეწველობის რაციონალიზაცია, მოზლეის აზრით, აუცილებლივ საჭიროა. მაგრამ ის კიდევ უფრო გააუარესებდა უმუშევართა მდგომარეობას, თუ მთავრობას არ ექნებოდა ერთი მთლიანი სამოქმედო გეგმა და ის არ აწარმოებდა სათანადო კონტროლს უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელზე. არ არის საჭირო დაბაჟული იქნას შემოტანილა სანოვაგე ან ნედლი მასალა. აუცილებელია მხოლოთ, რომ მათი შემოტანა განსაზღვრულ იქნას. ხდებოდეს დიდი პარტიებით და არა უთუოთ მთავრობის, არამედ, ვთქვათ, საზოგადოებრივ კოოპერატივების მიერო. შინაურ ბაზრის სტაბილიზაცია სხვა გზით შეუძლებელია. საჭიროა აგრეთვე ჩვენი ტეხნიკა სხვა ქვეყნების ტეხნიკაზე კიდევ უფრო გაუმჯობესდეს, ექსპორტი გაძლიერდეს, საგარეო ბაზარი გაფართოვდეს. ამას კი ვერ შევძლებთ, სანამ ინგლისი არ იქნება დაცული ორგანიზაციულათ მოწყობილ «დემპინგისაგან» და უკან ჩამორჩენილ აღმოსავლეთ ქვეყნების იაფფასიან თუ იძულებითი შრომის ნაწარმოებთა კონკურენციისაგანო. და ბოლოს მოზლეის წინადადება შეაქვს, რომ უმუშევრობის საკითხის შესახებ მისი მემორანდუმი, რომელიც ამას წინათ მთავრობამ უარჰყო, რის შემდეგაც ის გადადგა, ეხლა პარტიულ ორგანიზაციებისათვის დაეგზავნათ შესასწავლათ და სათანადო აზრების გამოსათქმელათ. მოზლეის წინადადებამ 1.046.000 ხმა მიიღო, წინააღმდეგმა—1,251.000 ხმა. ხმების ასეთი განაწილება ნათლათ მოწმობს, რომ პარტიაში უკმაყოფილება სუფევს მაკდონალდის მთავრობის პოლიტიკით უმუშევრობის საკითხში და, თუ მოზლეის წინადადება არ გავიდა, ეს მხოლოთ პარტიულ ორგანიზაციების მთავრობის მიმართ გადაჭარბებულ ლოიალობას უნდა მიეწეროს.

მიწათ-მოქმედების მინისტრმა ადისონმა მოახსენა კონგრესს მთავრობის გეგმა სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებისა. ინგლისში დღეს ორ მილიონზე მეტი უმუშევარია. ბევრ მათგანს წინეთ კავშირი ქონია სოფელთან და მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლათ საჭიროა, რომ ისინი ეხლა სოფელს დაუბრუნდენ, რაც საერთოთ უმუშევრობის საკითხის მოგვარებასაც ერთნაირათ ხელს შეუწყობდაო. მთავრობას აზრათ აქვს კანონპროექტი შეიტანოს პარლამენტში და გამოითხოვოს უფლებები მიწების შესასყიდათ ადგილობრივი თვითმართველობების შემწეობით, ანდა მათდა დამოუკიდებლათ; მოაწყოს კომიტეტები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ უმუშევართ შეიძინონ მიწები, მიიღონ სამუშაო იარაღები, სათესლე და საჭირო კრედიტები, რათა ახალი მეურნენი სათანადოთ მოეწყონ.

ინდოეთის საკითხის შესახებ კამათი ბროკვეიმ გახსნა. ის ამბობდა, რომ ინგლისის მუშათა პარტია ცნობს ინდოეთის თვითგამორკვევის უფლებას და ეს მას არა ერთხელ განუცხადებია თავის რეზოლიუციებში. მაგრამ მიუხედავათ ამისა მთავრობა პარტიის დადგენილებებს არ ატარებს ცხოვრებაში და ეწევა იმპერიალისტურ პოლიტიკას ინდოეთშიო. ბროკვეის აზრით კონგრესს უნდა მოეთხოვა მთავრობისათვის ინდოეთში რეპრესიების შეწყვეტა, იქ პოლიტიკურ ტუსაღების ამნისტიის გამოცხადება და ინგლისის მიერ ინდოეთისათვის ძალაუფლების გადასაცემათ მოლაპარაკების გამართვა. კონგრესს ამ საკითხის შესახებ დადგენილება არ მიუღია. მან აქაც მთავრობისადმი გადაჭარბებული ლოიალობა გამოიჩინა.

«დამოუკიდებელ პარტიის» წარმომადგენელის მიერ შეტანილ იქნა რეზოლიუცია განიარაღების საკითხის შესახებ: მთავრობას ევალება ამ მოკლე ხანში აიღოს თავის თავზე ინგლისის საერთო განიარაღების ინიციატივა, მიუხედავათ იმისა, თუ რა გზას დაადგებიან სხვა ქვეყნების მთავრობები. რეზოლიუციას წინააღუდგა ჰენდერსონი. კონგრესი ჰენდერსონს დაეთანხმა.

შემდეგ არჩეულ იქნა პარტიის ახალი აღმასრულებელი კომიტეტი 25 წევრისგან. 23 ირჩევა და 2-იც—პარტიის ლიდერი და ხაზინადარი—el officio შედიან კომიტეტში. ამ 25 წევრიდგან 12 ტრედუნიონების სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი არიან. ამ უკანასკნელთა შორის ვერ გავიდა მთავრობის წევრი ტომასი, რომელმაც, როგორც ამას ზოგიერთი გაზეთები სწერდენ, ვითომც დაჰკარგა გავლენა თავის ორგანიზაციაში. წინააღმდეგ, რკინისგზელთა ორგანიზაციაში ტომასი დღესაც ყველაზე უფრო პოპულიარული პირია და ამ ორგანიზაციამ მას ეხლაც მთლიანათ მისცა ხმა. მაგრამ [illegible] ბრძოლა სწარმოებდა ტრედუნიონებ[illegible]ში თავიანთ წარმომადგენლის გასაყვანათ და აი ამ ბრძოლაში დამარცხდა ტომასი.

ეკზეკუტივის წევრებში 9 მინისტრია: მაკდონალდი, ჰენდერსონი, კლაინსი, ლანსბერი, რობერტსი, მორისონი, დალტონი, კომტონი და სუზან ლორენსი. ეკზეკუტივის წევრთა შორის 5 ქალია.

ჰენდერსონმა თავი დაანება პარტიის გენერალურ მდივნობას და ის პარტიის ხაზინადრათ იქნა არჩეული. 1918 წლიდგან დაწყებული ჰენდერსონი პარტიის უცვლელ გენერალურ მდივნათ ითვლებოდა. ამ ხნის განმავლობაში ინგლისის მუშათა პარტია განსაცვიფრებელი სისწრაფით იზრდებოდა და ვითარდებოდა. დაბოლოს ის ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში უდიდეს პოლიტიკურ ფაქტორათ გახდა და დიდი ბრიტანეთის ძალაუფლებას დაეპატრონა. ჰენდერსონი იყო არა თუ საუკეთესო ორგანიზატორი მთელ პარტიაში, არამედ ყველაზე უფრო საყვარელი ადამიანიც. მას პარტიაში ჩვეულებრივათ «ძია არტურს» ეძახიან. როცა ორგანიზაციაში რაიმე უთანხმოებას ექნებოდა ადგილი, ყოველთვის «ძია არტურს» მიმართავდენ ხოლმე და ისიც ჩინებულათ ახერხებდა ყველას მორიგებას და გაერთიანებას. მაგრამ, როცა საჭირო იყო, მან გაწყრომაც და სიმკაცრის გამოჩენაც იცოდა და ეს მისი წყრომა და სიმკაცრე პარტიაში დიდათ ფასდებოდა. პარტიის მთლიანობის მებაირახტრე ყოველთვის ჰენდერსონი იყო და, მიუხედავათ პარტიაში აზრთა დიდი სხვადასხვაობისა, მან შესამჩნევი მოქნილობით შესძლო დღემდე პარტიის მთლიანათ მოყვანა. და როცა მის მიერ ნაშენებ ვეებერთელა შენობის შიგნიდგან აფეთქებას კომუნისტების უმნიშვნელო ჯგუფი ლამობდა, ამ ჯგუფის პარტიიდგან გაძევებას ყველაზე უფრო კატეგორიულათ სწორეთ ჰენდერსონი მოითხოვდა. პარტიაც, რასაკვირველია, მის რჩევას გაყვა და მით თავისი მთლიანობა შეინარჩუნა.

ჰენდერსონი დღეს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრია. ის უკვე 67 წლის კაცია და მისთვის ფიზიკურადაც შეუძლებელი იყო დღევანდელ რთულ პირობებში პარტიულ საქმეებისათვისაც აქტიურათ ეხელმძღვანელა. ამიერიდგან ჰენდერსონი პარტიის გენერალური მდივანი აღარ არის. მას პარტიამ საპატიო ადგილი, პარტიის ხაზინადრობა შესთავაზა. ჰენდერსონს ინგლისის მუშათა კლასის წინაშე დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის და სამაგიეროთ ამ კლასშიდაც ღრმათ არის ჩანერგილი მისდამი უდიდესი პატივისცემა და სიყვარული.

ბ. ბ.

ვალოდია გოგუაძე და მისი მეუღლე მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ გასულ წელს ციმბირში გარდაიცვალა გადასახლებული

საყვარელი ძმა

ნოე საბასძე გოგუაძე.

◆◆◆

გვთხოვენ გამოვაცხადოთ:

საქარ. ს.-დ. პარტ. საზღვარგარ. ბიურომ მიიღო პოლონეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის კომიტეტიდან ორასი ზლოტი (200 ზლ.) ქართველ პოლიტ. გადასახლებულთა სასარგებლოთ.

არამედ ბურჟუაზიული შინაარსი. აი ეს ლიბერალური დემოკრატიზმი შემოიჭრა სოციალისტებს შორისაც და ამრუდებს მათ მოქმედებას. «დემოკრატიული მეთოდი», დღეს ასე გაბატონებული ჩვენს რიგებში, გავს უფრო ქრისტიანულ მეთოდს, ერთი ყბაზე დარტყმის შემდეგ, მეორის მიშვერას, რაიცა ბოლოს და ბოლოს თურმე თავისთავათ ჩინებულათ დაბოლოვდება. სოციალიზმი უარს ყოფს ეკონომიურ ლიბერალიზმს, მაგრამ ის მაგრათ ჩაეჭიდა პოლიტიკურ ლიბერალიზმს, დემოკრატიის მტრებისათვის თავისუფლების მიცემას დემოკრატიის დასანგრევათ.

ნამდვილი, ხალხური დემოკრატიზმი არასოდეს არ ყოფილა ლიბერალური. მისთვის მუდამ უმაღლესი კანონი იყო დემოკრატიის გადარჩენა. როგორც კი ძველათ მოქალაქეთა შორის ნივთიერი წონასწორობა საგრძნობლათ დაირღვეოდა და მდიდრები დემოკრატიის არსებობას დაემუქრებოდენ, დემოკრატია ჩაერეოდა დიქტატურულათ საკუთრების ურთიერთობაში და დარღვეულ წონასწორობას აღადგენდა. ასე მოიმოქმედა ათინამ სოლონის საშუალებით. სპარტამ ლიკურგის მეთაურობით და სხ.. ებრაელთა დემოკრატია მოსამართლეთა წინამძღოლობით ინახებოდა იმით რომ ყოველ 50 წელს მიწას გადაანაწილებდენ. ერთი სიტყვით, დემოკრატიის გადარჩენა რევოლიუციური საშუალებით, სალი დემოკრატიის მუდმივი დროშაა. გერმანია-ავსტრიის რევოლიუცია რომ ჩარეულიყო აგრარიულ ურთიერთობაში და რესპუბლიკა აეგო იუნკერთა მიწათმფლობელობის ნანგრევზე, უეჭველია დღეს იქ დემოკრატიის არსებობა საფრთხეში არ ჩავარდებოდა. რევოლიუციამ შესძლო იქ ანტიდემოკრატიული ელემენტების შეტევის მოგერიება, ძალის წინააღმდეგ ძალის ამუშავება. მაგრამ ვერ შესძლო რესპუბლიკისათვის შესაფერი მატერიალური კალაპოტის შექმნა. და ეს იმიტომ რომ საკუთრების ხელშეუხებლობა, ეს ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპი, რევოლიუციურ დემოკრატიასაც გადაედვა და შემოქმედების შუა გზაზე გააჩერა.

დემოკრატია რაც უფრო უახლოვდება შეძლებულ კლასებს მით უფრო მომხრეა თავისუფლების და წინააღმდეგი სოციალური რეფორმების, და პირიქით, რაც უფრო ის ეკავშირება ღარიბ კლასებს, მით უფრო მეტათ აფასებს რეფორმებს და ნაკლებათ თივისუფლებას. საკმარისია აქ დემაგოგებმა ხალხს მისცენ ფანტასტიური დაპირებანი, რომ მოპოვებული თავისუფლება ყმობაზე გადასცვალონ. ასე მკვიდრდებოდა ძველათ ტირანია და მკვიდრდება დღესაც. რუსეთი ამის კლასიკური მაგალითია. ამ ხაზზე ამუშავდა გერმანიის უკანასკნელი არჩევნები. შენახვა თავისუფლების საკუთრების ურთიერთობაში ენერგიულათ ჩარევით—აი სალი, ხალხური დემოკრატიზმი. არც სახელმწიფოსადმი მოქალაქის დაყმობა, არც მოქალაქის მიერ სახელმწიფოს თავის საწველ ფურათ გადაქცევა—აი გზა ამ მხრით მიმავალი. ანტიდემოკრატიული მუშტი შელოცვით, ლაპარაკით არ დაითრგუნება; მისი დამხობა შეიძლება მხოლოდ დემოკრატიული მუშტით რეფორმებზე დამყარებულით.

თუ კი ასე გავიგებთ დემოკრატიას, თუ მას ჩამოვაშორებთ ლიბერალიზმს, როგორც ეკონომიურს, ისე პოლიტიკურს, და მასში ჩავდებთ კლასიკური დემოკრატიზმის შინაარსს, მაშინ გამოჩნდება, რომ დღევანდელი ანტიდემოკრატიული პარტიები არიან არა ანტიბურჟუაზიული, არამედ ანტიხალხური, ანტიმუშურ-გლეხური. საკითხი დგას სრულიად ცხადათ და მარტივათ: ფაშისტ-ბოლშევიკების მიზანია დემოკრატიის განადგურება, მისი ფიზიკური საშუალებით მოსპობა. მაგალითი მოგვცეს რუსეთში, იტალიაში. დემოკრატია კი მათ უპასუხებს საარჩევნო ბიულეტენებით! იქ სადაც პოლიტიკური მკვლელები და შეთქმულების მომწყობნი, შეიარაღებული და სამხედრო წესებზე დაწყობილი დრუჟინები, თავისუფლათ დადიან, ქუჩაზე სროლა, დაჭრა, დახოცვა, ხალხის სისტემატიურათ დაშინება დაუსჯელათ წარმოებს, როგორც ეს გერმანიაშია, განა შეიძლება ითქვას იქ დემოკრატიის დამცველი მართველობაა? აქ თავისუფლება სჭამს თავის თავს; ეს არის არა პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, რაიცა დასიშვებია მხოლოდ დემოკრატიის მომხრეთა შორის, ეს არის პოლიტიკური სიდამბლე, ეს ძველი დრომოჭმული ლიბერალიზმის ღვიძლი შვილია.

ცხადია, ეკონომიური კრიზისის დაძლევა და დემოკრატიის გადარჩენა აუცილებლათ მოითხოვს პოლიტიკური სიმდაბლის დაძლევას, ლიბერალური დემოკრატიზმის უარისყოფას და სახალხო, აქტიური და მებრძოლი დემოკრატიზმის აღიარებას. მკაცრ სახალხო ნებისყოფას შეუძლია გაატაროს საჭირო ეკონომიური ზომები და ის მიაღებიოს მთელ საზოგადოებას. რა ზომებია ეს?

ჩვეულებრივათ დასავლეთში ერთი ახირებული აზრია გაბატონებული. მრეწველობა გამოცხადებულია ადამიანთა ცხოვრების მთავარ ბაზათ და ამიტომ ეკონომიური აზროვნება მუდამ ამ სფეროში ეძებს გამოსავალს. აქედან დაიბადა ის აზრიც, რომ დღევანდელი კრიზისის დაძლევა შესაძლებელია ინდუსტრიალიზაციის კიდევ უფრო გაძლიერებით. ნამდვილათ კი მთელი ეს აზროვნება საფუძველს მოკლებულია. ადამიანთა ცხოვრების ბაზაა მიწათმოქმედება, რომლის ნიადაგზე საზოგადოება ათი-ათასი წლობით შენდებოდა და ცხოვრობდა. ინდუსტრია სულ ბოლო დროის მოტანილია, ორასი წლის ისტორიაც კი არ აქვს. მაგრამ მოხდა ერთი ამბავი: სადაც კი ის ამუშავდა—მეტათ გაძლიერდა მიწათმოქმედების ხარჯზე. დასავლეთში მოხდა მისი გიპერტროფია, გაზვიადებულათ გაზრდა და მით დაირღვა წონასწორობა მიწათ-მოქმედებასან. სამრეწველო ქვეყნების დღევანდელი კრიზისი აიხსნება მათი მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის აი ამ დისპროპორციით. აგრარიული ქვეყნების კრიზისი კი წარმოდგება იქ მრეწველობის განუვითარებლობით და სამეურნეო ნაწარმოებთა შინაგანი ბაზრის სიმცირით.

მაშასადამე, კრიზისის კვანძი გაიხსნება სამრეწველო ქვეყნებში მრეწველობას და მიწათმოქმედებას შორის დარღვეული წონასწორობის აღდგენით, ხოლო აგრარიულ ქვეყნებში მრეწველობის გაძლიერებით, მათი ინდუსტრიალიზაციით. საფრანგეთის დღეს გამოთიშვა მსოფლიო კრიზისიდან, იქ უმუშევართა არ-არსებობა აიხსნება სწორეთ მისი ეკონომიური სტრუქტურით: მრეწველობის და მიწათმოქმედების დაახლოვებით თანაბარი განვითარებით. აქ რვა მილიონ სამეურნეო მუშაკზე ითვლება ექვსი მილიონი სამრეწველო მუშაკი. ამიტომ საფრანგეთი ნაკლებათ დამოკიდებულია უცხო ბაზარზე, ვინემ გერმანია ან ინგლისი და ბელგია.

მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ჰარმონიის დამყარება—ეს არის არა მარტო საამდროვო მიმდინარე კრიზისის მიუცილებელი მალამო, არამედ ამავე დროს ის სოციალური ტრანსფორმაციის ძირითადი საკითხია. საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა სწორედ აქედან იწყება და ეს დიდი ხანია გათვალისწინებულია «კომუნისტურ მანიფესტში». აქ ჩამოთვლილ პირველ სოციალურ ზომათა შორის ვკითხულობთ: «ჩამორთმევა მამულების (იგულისხმება მიწის ბურჟუაზიული საკუთრება) და სამიწათმფლობელო რენტის გადაცემა სახელმწიფოსათვის». «დაუმუშავებელი მიწების დამუშავება და დამუშავებულის გაუმჯობესება საზოგადო სისტემის თანახმათ», «სავალდებულო შრომა ყველასათვის, შექმნა სამრეწველო არმიის, განსაკუთრებით მიწათმოქმედებისათვის»; «სამრეწველო და სამიწათმოქმედო შრომის ისეთი კომბინაცია, რომელსაც შეეძლოს გაქრობა განსხვავების ქალაქსა და სოფელს შორის».

ცხადია, პირველი რადიკალური ცვლილება ხდება მიწათმოქმედების სფეროში, როგორც მთავარი ბაზის ადამიანთა ცხოვრებისა. სამრეწველო რეფორმები მას მისდევს. შრომის ორივე დარგის ჰარმონიაში მოყვანა. ქალაქის და სოფლის გათანასწორება ნიშნავს მოსპობას ბატონობის მრეწველობის მიწათმოქმედებაზე და მიწათმოქმედების მრეწველობაზე. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა სამრეწველო ქვეყნების აგრარიზაციის და აგრარიული ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის, თვითეულ ქვეყანაში დარღვეული ეკონომიური წონასწორობის აღდგენის. ერთი ერის სამრეწველო ერათ დატოვება, მეორის აგრარიულ საფეხურზე გაჩერება არ შეეფერება არც სოციალისტურ მსოფლმხედველობას, არც სინამდვილეს. ის კაპიტალისტების და იმპერიალისტების გამოგონებაა.

აი ეს ორგვარი ერთიმეორის მოპირდაპირე მუშაობა სამრეწველო და აგრარიულ ხაზზე შესცვლის საზოგადოების არსებულ ეკონომიურ სტრუქტურას და მით მას ჩააყენებს ნორმალური, წინდაწინ გათვალისწინებული საქმიანი განვითარების ფარგლებში.

ამ მიმართულებით სოციალური აღმშენებლობის წარმოება მოითხოვს შესაფერ ეკონომიურ ზომებს ყველა დარგში. პირველყოვლისა ეკონომიური მონოპოლიების თანდათან ნაციონალიზაციას და მით ხალხის სასარგებლოთ ამუშავებას, დემოკრატიის ლიბერალიზმის ტყვეობისაგან განთავისუფლებას და საკუთრების ურთიერთობაში ენერგიულათ ჩარევას და საზოგადოთ დაუსრულებელი კონფერენციების, კრებების და ლაპარაკის ალაგას გაბედული საქმიანი შემოქმედების წარმოებას.

როგორც ხედავთ, საზოგადოების ტრანსფორმაცია სოციალისტური ხაზით—ერთათ ერთი საშუალებაა დღევანდელი კრიზისის დასაძლევათ. ისტორიამ მისი ზარი ჩამორეკა. მას ყურს უგდებენ მისი მტრებიც. მისი სულით იჟღინთება საზოგადოებრივი ატმოსფერა. მაგრამ აქ კვდარი იჭერს ცოცხალს; სოციალისტური ნებისყოფა ლიბერალიზმის ართახებიდან სავსებით ვერ განთავისუფლდა. ის კიდევ უკან იხედება, ძველ ფორმულებში იხლართება. მისი ძველი სოციალური პროგრამა სწორეთ საამდროვო პროგრამაა, მაგრამ მისი ძველი პოლიტიკური ტაქტიკა უკვე დაძველებულია, ის აღარ შეეფერება დღევანდელ სინამდვილეს.

ხალხური ანტიდემოკრატიული ტალღის დაძლევა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ხალხური დემოკრატიზმით, ხალხური სახელმწიფო მართველობით.

ნ. ჟ.

◆◆◆

Arpajon— Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.